



სარჩელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

მოსარჩელე:

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ სახელი, გვარი (სახელწოდება)	204952676 პირადი (საიდენ.) ნომერი	0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ. ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური
2223874		
		ფაქსი
		ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი:

ნინო გუჯარაიძე ირმა მახათაძე სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ. თბილისი, კოსტავას ქ. №76ა, ბ.6 ძირითადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური
		ფაქსი
		ელექტრონული ფოსტა
		ngujaraidze@greenalt.org irmamakhataidze2017@gmail.com

მოპასუხე:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი(საიდენ.) ნომერი	მარშალ გელოვანის №6, 0159, თბილისი ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ..	სამსახურის ტელ.	მობილური
2 470 101; 2 378 009		ფაქსი
		ელექტრონული ფოსტა
		info@mepa.gov.ge

საკონტაქტო პირი:

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა
ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge სანიშნო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge			

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი		
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

დავის საგანი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

2020 წლის 24 მარტს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განსახილველად წარუდგინა აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში და მოითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა.

წარდგენილი დოკუმენტაცია ნათლად აჩვენებდა, რომ დაგეგმილი საქმიანობა ეწინააღმდეგებოდა „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს; საქართველოს მიერ „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციასთან“ მიერთებით და „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ აღებულ ვალდებულებებს. ამასთანავე, წარდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსისა“ და „ადიგენის მუნიციპალიტეტში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 6 მარტის #2-208 ბრძანებით დამტკიცებული დასკვნის სავალდებულო პირობებს.

მიუხედავად აღნიშნულისა, 2020 წლის 3 სექტემბერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ არაერთი მუხლის, საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებისა და „გარემოსდაცვითი საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მოთხოვნების უხეში დარღვევით მიიღო გადაწყვეტილება ადიგენის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ.

ამდენად, „ადიგენის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის N 2-785 ბრძანება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

დავის ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 6 მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება ადიგენის მუნიციპალიტეტში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ.

სკოპინგის პროცედურის შედეგად განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ს ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ს პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებები. კერძოდ, სკოპინგის დასკვნის თანახმად, გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო სავალდებულო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი შემდგენიერად ჩამოყალიბდა:

„1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მესამე ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;

2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მეოთხე ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;

3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;

4. გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- პროექტის საჭიროების დასაბუთება;
- პროექტის ალტერნატიული ვარიანტები: შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის არაქმედების ალტერნატივა, საპროექტო გზის ადგილმდებარეობის და გზის ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების ალტერნატიული ვარიანტები. შერჩეული ალტერნატივა სხვადასხვა მიმართულებასთან ერთად დასაბუთებული უნდა იყოს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით;
- პროექტის აღწერა;
- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ქრილში;
- საპროექტო გზის ინფრასტრუქტურული ობიექტების აღწერა;
- საავტომობილო გზის ძირითადი პარამეტრები და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS კოორდინატები;
- საპროექტო გზის შემადგენელი ობიექტების, სანაყაროებისა და სამშენებლო ბანაკის shp ფაილები;
- ხილების და მათი დამხმარე ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები;
- ხილების სტრუქტურული მოწყობისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის შესახებ ინფორმაცია;
- საპროექტო გზის კვანძების რაოდენობა;
- გასასვლელი გზების, წყალსარინი არხების მოწყობის, პროფილირების და განივი დრენაჟის მილების/კიუვტების მოწყობის შესახებ ინფორმაცია;
- ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების მოწყობის შესახებ ინფორმაცია;
- გეომეტრიული პარამეტრების, გზის საფარისა და განივი კვეთების შესახებ ინფორმაცია;
- საპროექტო გზის ძირითადი ინფრასტრუქტურის დამორება მოსახლეობასთან კონკრეტული მანძილების მითითებით, ასევე ზედაპირული წყლების ობიექტებიდან დაშორება;
- დაგეგმილი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ან საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის საშუალებები;

4.1 სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ ინფორმაცია კერძოდ:

- საპროექტო გზასთან დროებითი მისასვლელი გზების საჭიროებისა და აღნიშნული გზების მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები;
- მცენარეული და ნიადაგის საფარის მოხსნის სამუშაოების, გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);
- როგორი თანმიმდევრობით (ვადების მითითებით) განხორციელდება საპროექტო გზის მონაკვეთების მშენებლობა;
- მშენებლობაზე დასაქმებული ადამიანების საერთო რაოდენობა მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივების წილი;
- მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკის ჩამონათვალი და რაოდენობა;
- სად იგეგმება გამოყენებისთვის უვარგისი ქანების დროებითი და საბოლოო განთავსება შესაბამისი GIS კოორდინატების მითითებით; ფუჭი ქანების განთავსების (სანაყაროების) დეტალური პროექტები, ადგილმდებარეობის კოორდინატები, მათი მოცულობა, ასევე მდინარეების სანაპიროსთან განთავსების ადგილას საკვლევი უბნების საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობები და მდინარის გავლენა სანაყაროების განთავსების ტერიტორიაზე;
- სად მოხდება გზის მშენებლობისთვის საჭირო ინერტული მასალების მოპოვება;
- სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტების შესახებ ინფორმაცია;
- დაგეგმილი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედების შემცირების ან თავიან არიდების დეტალური ღონისძიებები კონკრეტული ქმედებების მითითებით;

4.2 სამშენებლო ბანაკის განთავსების შესახებ ინფორმაცია მათ შორის:

- სამშენებლო ბანაკის გენ-გეგმა, ბანაკის განთავსების ადგილის კოორდინატები და ფართობი;
- როგორ მოხდება სამშენებლო ბანაკის სასმელ-სამუერნეო და ტექნიკური წყალმომარაგება, ტერიტორიაზე არსებობს თუ არა წყლის სამარაგო რეზერვუარი;
- სამშენებლო ბანაკზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მართვის საკითხი: ტერიტორიაზე გათვალისწინებული საასენიზაციო ორმოს ტევადობა; საწარმოო ჩამდინარე წყლებისთვის არსებობს თუ არა სასელიმენტაციო გუბურები; სამშენებლო ბანაკზე გათვალისწინებული საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპი და ტევადობა;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ ინფორმაცია და მათ მართვასთან დაკავშირებული საკითხები;

4.3 საპროექტო დერეფანში ჩატარებული გეოლოგიური კვლევის ანგარიში, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს:

- საპროექტო ტერიტორიის რელიეფი (გეომორფოლოგია), გეოლოგიური აგებულება შესაბამისი გეოლოგიური რუკით, ასევე ჰიდროგეოლოგიური, სეისმური, ტექტონიკური, ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური და კლიმატური პირობების აღწერა;
- საპროექტო დერეფნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები, ასევე შესაბამისი რუკა და ჭრილები (მათ შორის საპროექტო ტერიტორიის სივრცეში არსებული საშიში გეოლოგიური პროცესების აღწერა, შესაბამისი კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით);
- დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევა საპროექტო გზაზე, ხიდებზე და გვირაბზე;
- გეოლოგიური კვლევის შედეგების გათვალისწინებით შემუშავებული დასკვნები და რეკომენდაციები;
- საპროექტო დერეფანში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები (ჭაბურღილების რაოდენობა, ადგილმდებარეობა, ლაბორატორიული კვლევები - გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგები და ა.შ.). საფრთხეების შესაფასებლად უშუალოდ საპროექტო გზის დერეფანში უნდა განხორციელდეს გეოლოგიური საფრთხეების (მეწყერი, ქვათაცვანა/კლდეზვავი, ღვარცოფი, ეროზია)

კვლევა და მისი შედეგები უნდა აისახოს გზშ-ის ანგარიშში. ყურადღება უნდა გამახვილდეს საპროექტო დერეფნის ფარგლებში შემოადინებული საშიში გეოდინამიკური პროცესების შესაძლო წარმოქმნა-გააქტიურების თვალსაზრისით რთული უბნების ადგილმდებარეობების აღწერაზე/შეფასებაზე. მოცემული უნდა იყოს გასატარებელი კონკრეტული პრევენციული ღონისძიებები;

- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე გეოლოგიურ გარემოზე შემოქმედება და საშიში გეოდინამიკური პროცესების შესაძლო წარმოქმნა-გააქტიურება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- საინჟინრო-გეოლოგიური პირობების პიკეტური აღწერა, რომელიც უნდა მოიცავდეს საპროექტო ტერიტორიის არეალში არსებულ საშიშ გეოლოგიურ პროცესებსაც;

4.4 ჰიდროლოგიური კვლევის ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- საპროექტო არეალში მოქცეული მდინარეების კურცხანას და ოცხეს, ასევე უსახელო შენაკადების ჰიდროლოგია;
- დეტალური ინფორმაცია მაქსიმალურ ჩამონადენზე, მინიმალურ ჩამონადენზე, მყარ ნატანზე;
- საპროექტო გზის გადამკვეთი მუდმივი და დროებითი ნაკადების შესახებ ინფორმაცია;
- ეროზიული პროცესების შესახებ ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებს კალაპოტური პროცესების და ნაპირსამაგრი სამუშაოების შესახებ;
- საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მდინარეების წყალდიდობა/წყალმოვარდნის საფრთხეების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა;

4.5 ბიოლოგიური გარემოს შესახებ ინფორმაცია, კვლევები და კვლევის შედეგების გათვალისწინებით დაგეგმილი ღონისძიებები:

- საპროექტო ტერიტორიის ფლორისა და მცენარეული საფარის დეტალური აღწერა; საქართველოს იშვიათი და წითელი ნუსხის სახეობები, რომლებიც გვხვდება დაგეგმილ საპროექტო დერეფანში; ხმელეთის ფაუნა; საპროექტო დერეფანში გავრცელებული საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ცხოველთა სახეობები; საკვლევი არეალი და სავლე კვლევის მეთოდები, სენსიტიური ადგილები, სავლე კვლევის შედეგები;
- საპროექტო ტერიტორია კვეთს „ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ (ბერნის) კონვენციის შესაბამისად შექმნილ „ზურმუხტის ქსელის“ დამტკიცებულ საიტს (ბორჯომ - ხარაგაული - GE000010), შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში საჭიროა, აისახოს (ან თან დაერთოს) ზურმუხტის დამტკიცებულ საიტზე ზეგავლენის შეფასება ე.წ. მიზანშეწონილობის შეფასება, სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია იმ სახეობებსა და ჰაბიტატებზე შესაძლო შემოქმედების და ამ შემოქმედების თავიდან აცილების ქმედებების შესახებ, რომელთა დასაცავადაც შეიქმნა მითითებული დამტკიცებული საიტი (მიუხედავად იმისა, ამორიცხულია თუ არა საპროექტო დერეფანი სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიიდან).
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მომზადებული საკონსერვაციო და მონიტორინგის გეგმები და სხვა. საჭიროა, ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევები მოიცავდეს მინიმუმ ორი სეზონის კვლევებს. ამასთან, ვინაიდან საპროექტო გზა გადის „ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ (ბერნის) კონვენციის შესაბამისად შექმნილ „ზურმუხტის ქსელის“ დამტკიცებულ საიტთან (ბორჯომი -ხარაგაული 2 - GE000056) ახლოს (360მ), გზშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია კონკრეტულად რა საქმიანობები იგეგმება აღნიშნულ ტერიტორიაზე.
- გზის, გვირაბის და ხიდების მშენებლობის თავში მითითებულია, რომ „გამოყენებული იქნება „პოვერჯელ მაგნუმ 365“ ტიპის ემულსიური და ვაზნური ფეთქებადი ნივთიერება, რომელიც ხასიათდება მცირე ტოქსიკური გამონაბოლქვით. საჭიროა, გზშ-ის ანგარიშში აისახოს დასაბუთებული ინფორმაცია (დანართ 4 - ში მოცემული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე), აღნიშნული ნივთიერების გამოყენების საჭიროების და მისი გამოყენებით გამოწვეული შემოქმედების შესახებ.
- იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აბასთუმნის ტყეები ამჟამად განიცდის შემოქმედებას (სხვადასხვა ფაქტორის გამო, როგორცაა მაგალითად მავნებლები), და მას დაემატება აღნიშნული პროექტის

მშენებლობით გამოწვეული ზემოქმედება, აუცილებელია აღნიშნული საკითხები სათანადოდ იქნას განხილული გზშ-ის ანგარიშში.

- გზშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლენილ ცხოველთა სახეობებზე შესაბამისი შემარბილებელი და კონკრეტული ქმედითი ღონისძიებები. საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვროს საკომპენსაციო ღონისძიებები. ანგარიშში მოცემული მსჯელობა, რომ მათზე საქმიანობის შედეგად ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი, არ არის სათანადოდ დასაბუთებული. ამჟამად წარმოდგენილი ინფორმაცია სუსტი და ზოგადია. (მაგ: მურა დათვზე დოკუმენტის დასაწყისში წერია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე ნანახია დათვის ბუნაგი, ნაკვალევი. შემარბილებელი ღონისძიებების თავში კი წერია, რომ პროექტის განხორციელება მნიშვნელოვან ზეგავლენას ვერ მოახდენს სახეობაზე, რადგან დათვი დიდ ტერიტორიაზეა საქართველოში გავრცელებული. რაც შეეხება კეთილშობილ ირემს, რომელიც დაფიქსირდა კვლევის დროს, (წარმოდგენილია შესაბამისი ფოტოსურათი), ზემოქმედების თავში მითითებულია, რომ „მისი დაფიქსირება მშენებლობის დროს სავარაუდოდ მაღალი არ არის“, რაც არ არის მყარი არგუმენტი და საჭიროებს დასაბუთებას);
- საჭიროა გზშ-ის ანგარიშში აისახოს სათანადო კვლევაზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია, პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ჰაბიტატებზე, მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე (დაკარგვა, ფრაგმენტაცია და სხვა), ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნას ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები ფოტომასალასთან ერთად;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მდინარის გადაკვეთებში შესაძლოა საჭირო გახდეს ხიმინჯების კალაპოტში მოწყობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს სათანადო კვლევაზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია, პროექტის გავლენის ზონაში არსებულ წყლისა და წყალზე დამოკიდებულ ბიომრავალფეროვნებაზე, მათ შორის იქთიოფაუნაზე, მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე;
- ზემოაღნიშნული კვლევების შედეგების საფუძველზე, შემარბილებელი ღონისძიებების თავში და მონიტორინგის გეგმაში უნდა აისახოს ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე (განსაკუთრებით ცხოველთა დაცულ სახეობებზე) ზემოქმედებაზე დაკვირვების საკითხები;
- გზშ-ის ანგარიშში საჭიროა წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია ე.წ „მწვანე ხიდების“ შესახებ კერძოდ, სად, რა სიმაღლეზე და რამდენი ე.წ „მწვანე ხიდის“ მოწყობაა დაგეგმილი. ამასთან კონკრეტულად იქნას განსაზღვრული პარკის ტერიტორიაზე გზის მონაკვეთში თითოეული მნიშვნელოვანი სახეობის ან ჯგუფისათვის გადასასვლელების, მწვანე ხიდების (კულვერტების, ვიადუკების, ხიდების და/ან გასასვლელი გვირაბების) მოწყობა;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ მცენარეებზე. მათზე ზემოქმედების შემთხვევაში, ინფორმაცია ზემოქმედებას დაქვემდებარებული ხე-მცენარეების შესახებ სახეობების და რაოდენობის მითითებით. ზემოქმედება ეროვნული კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე. ამ ზემოქმედების, შემცირების, შერბილების, თავიდან აცილების და საკომპენსაციო ღონისძიებებზე, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში ჰაბიტატის აღდგენის ღონისძიებებზე;
- გზშ-ს ანგარიშში ცალკე თავად გამოიყოს თავი: „დაცული ტერიტორიები“, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ის ტერიტორია, რომელსაც კვეთს საპროექტო გზის მონაკვეთი. დეტალურად უნდა იქნეს მითითებული რა ტიპის ბუნებრივი ჰაბიტატები და რა ტიპის ტყეებია ეროვნული პარკის აღნიშნულ მონაკვეთზე წარმოდგენილი, ასევე ცალკე უნდა იქნეს წარმოდგენილი იმ სახეობების ჩამონათვალი, რომელთა ჰაბიტატების რღვევაც შესაძლოა გამოიწვიოს დაგეგმილი პროექტის განხორციელებამ.
- იმისათვის, რომ ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ საპროექტო გზის მოსამზადებელ, სამშენებლო და ექსპლუატაციის ეტაპებზე განხორციელდეს მონიტორინგი, მოსალოდნელი ზიანი დაცულ ტერიტორიებზე და გზის სხვა მონაკვეთზე, განსაზღვრული უნდა იქნას ცალ-ცალკე.
- კორექტორებას საჭიროებს სკოპინგის ანგარიშის თავი 11.6. „ბიოლოგიური გარემო და დაცულ ტერიტორიები“ სადაც ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით ზემოქმედებების სახეები

ჩამოთვლილია, თუმცა დასაკონკრეტებელია ინფორმაცია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დომინანტი სახეობებთან მიმართებით. მაგალითად: „იმის გათვალისწინებით, რომ სამშენებლო სამუშაოებისას გამოყენებული იქნება ბურღვა-აფეთქების მეთოდი მოსალოდნელია ხმაურის ფონის მნიშვნელოვანი შეცვლა, რაც აუცილებლად გამოიწვევს ზემოქმედებას ცხოველთა სამყაროზე.

- მურა დათვი. ხმაურის შემთხვევაში, დათვს საშუალება ექნება დროებით თავი აარიდოს ხმაურის წყაროს;
- წავი. არსებული წყაროებით და ტერიტორიის დათვალიერებისას საპროექტო დერეფანში დაფიქსირდა წავისთვის ხელსაყრელი ჰაბიტატების არსებობა. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში სახეობას საშუალება ექნება თავი აარიდოს ზემოქმედებას;
- ფოცხვერი. სახეობის საცხოვრებელი ტერიტორიის მასშტაბის გამო, და იმის გათვალისწინებით, რომ ის ჩვეულებრივ მაღალ ზონაში ნადირობს, დაგეგმილი პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ჰაბიტატების დანაკარგი ან შემაწუხებელი ფაქტორები ამ სახეობის საკონსერვაციო სტატუსზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ იქონიებს.
- კეთილშობილი ირემი. ზემოქმედება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სატრანსპორტო ნაკადის ინტენსივობაზე და მეტი იქნება დაბალი სატრანსპორტო ნაკადის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში:

- ცალკე იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე დაგეგმილ გზის მონაკვეთზე: არსებული ბიომრავალფეროვნების, კერძოდ ტყის ეკოსისტემების და ჰაბიტატების შესახებ. გარდა ამისა, გავრცელებული ცხოველების, მათ შორის დომინანტი სახეობების შესახებ. შეგროვდეს ინფორმაცია მათი რიცხოვნობის, ბუნაგების, სოროების, ბუდეების და მნიშვნელოვანი საბინადრო და სამიგრაციო ადგილების შესახებ.
- ცალკე იქნას განხილული აღნიშნული დომინანტი სახეობები და წარმოდგენილი იქნას ინფორმაცია მათი პოპულაციების მდგომარეობის და საფრთხეების შესახებ. მკაფიოდ ჩამოყალიბდეს მოსალოდნელი ზემოქმედება და განისაზღვროს კონკრეტულად ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები დომინანტი სახეობებისათვის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის კონკრეტულ ტერიტორიებზე.
- გზმ-ის ანგარიშში შესწავლის საფუძველზე შემუშავებული უნდა იქნას კონკრეტული მონიტორინგის გეგმა, რაც უნდა შეთანხმდეს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან.
- გზმ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს კონკრეტული ღონისძიებები ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ხმაურის შემცირებასთან დაკავშირებით. დოკუმენტში ნათლად არ ჩანს, თუ სად არის დაგეგმილი ბურღვა-აფეთქებითი ღონისძიებები ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. იმ შემთხვევაში, თუ ეს პარკის ტერიტორიაზეა, მაშინ ხმაურის ზემოქმედების შერბილების ღონისძიებებში უნდა მიეთითოს, „მუხტის შემცირება“, რომ ძლიერი ზემოქმედება არ მოხდეს ცხოველთა სამყაროზე.
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „კავკასიურ ციყვებთან მიმართებაში იქნა აღნიშნული, რომ ხეების მოჭრამდე დათვალიერდება ციყვის ბუდეები“, მნიშვნელოვანია, რომ ასევე აღირიცხოს აღნიშნული ბუდეები, არსებობის შემთხვევაში, და იგივე მოხდეს ფრინველების შემთხვევაშიც. შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს გზმ-ის ანგარიშში;
- დოკუმენტში ექსპლუატაციის ფაზის აღწერისას ერთ-ერთ პუნქტად „ზემოქმედება ფლორასა ფაუნაზე შემცირდება“ მითითებულია: „ინვაზიური მცენარეების გავრცელების მონიტორინგით და აღმონაცენების დროული მოცილებით (სასურველია აქ-ქიმიური გზით)“. მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული პარკის ტერიტორიის გზის მონაკვეთზე არ იქნას გამოყენებული ქიმიური პრეპარატები, რადგანაც ცხოველების რიცხოვნობა აქ შედარებით მაღალია და შესაბამისად მათი სიკვდილიანობაც მოსალოდნელი იქნება. აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზმ-ის ანგარიშში;
- საწვავის დაღვრის შემთხვევაში, გზის მშენებლობისას განისაზღვროს სანიაღვრე არხები, რომ გზაზე დაღვრილი საწვავი არ მოხვდეს მიწის ზედაპირზე, რაც შეიძლება გახდეს ცხოველების მოწამვლის მიზეზი. აღნიშნული ტექნიკური გადაწყვეტა წარმოდგენილი უნდა იყოს გზმ-ის ანგარიშში;

- ძუძუმწოვრებთან მიმართებაში დოკუმენტში განხილულ უნდა იქნა ამრეკლი მოწყობილობების დაყენება, მიზანშეწონილია, განისაზღვროს აღნიშნული მოწყობილობების ადგილები ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე;
- გზმ-ს ანგარიშში უნდა დაკონკრეტდეს, ეროზიული და ქვათაცვენის მონაკვეთები ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, ასევე აღნიშნულ მონაკვეთებზე დაგეგმილი ღონისძიებები თან უნდა ახლდეს გზმ-ს ანგარიშს;
- ხანძრის ან რაიმე სხვა სტიქიური უბედურების, ღვარცოფების და სხვა შემთხვევაში, საავტომობილო გზების დეპარტამენტს უნდა ჰქონდეს შემუშავებული „რისკის მართვის დოკუმენტი - ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დოკუმენტი (დაღვრის ჩათვლით)“, რომელიც უნდა შეთანხმდეს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან. პარკის (ტყის) მონაკვეთებზე წარმოქმნილი პრობლემის შემთხვევაში, პარკის ადმინისტრაცია უნდა იქნას ინფორმირებული და ჩართული ნებისმიერი სახის ღონისძიებების განხორციელებაში. დოკუმენტში მკვეთრად უნდა იქნას განსაზღვრული მონაწილე ხარეების კომპეტენციები. ზემოაღნიშნული დოკუმენტი თან უნდა დაერთოს გზმ-ის ანგარიშს;
- გზმ-ს ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იყოს ცხოველების დაღუპვის ფაქტების აღრიცხვა და განმეორებითი შემთხვევების აღკვეთის მიზნით შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. აღნიშნული საკითხი ასევე განხილულ უნდა იქნას ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საკითხებს შორის;
- ზემოაღნიშნულის გარდა მნიშვნელოვანია, რომ ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის პროგრამული ოფისის (WWF) მიერ, გერმანიის მთავრობის (KfW/BMZ) ფინანსური მხარდაჭერით, ხორციელდება დასავლეთ მცირე კავკასიონის საკონსერვაციო ლანდშაფტის ფარგლებში ეკოლოგიური ღირებულების შექმნის პროექტი. 2015-2016 წლებში, ეკოლოგიური ღირებულების შესაქმნელად პრიორიტეტული საკონსერვაციო ტერიტორიების დადგენის მიზნით ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ საუკეთესო ანუ უპირველესად დასაცავი ტერიტორიები ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მიმდებარედ, მის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ეს ტერიტორია მოიცავს დაახლოებით 4377 ჰექტარს. ამ ტერიტორიების მაღალკონსერვაციული ღირებულებიდან გამომდინარე WWF- ის მიერ ეს ტერიტორიები შემოთავაზებულია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის გასაფართოებლად, შესაბამისი კვლევების თანახმად, ტერიტორიები სრულად აკმაყოფილებს დაცული ტერიტორიების გაფართოების კრიტერიუმებს. გაფართოების ძირითადი მიზანია დიდი ზომის ძუძუმწოვრების და უპირველესად, საქართველოს წითელი ნუსხის ორი სახეობის, კავკასიური კეთილშობილი ირმის (*Cervus elaphus maral*) და კავკასიური არჩვისათვის (*Rupicapra rupicapra caucasica*) ეკოლოგიური ღირებულების შექმნა დასავლეთ მცირე კავკასიონზე. ამისათვის გამოიყენება ლანდშაფტური მიდგომა, რაც გულისხმობს: არსებული დაცული ტერიტორიების გაფართოებას, ახალი დაცული ტერიტორიების დაარსებას და ე. წ. სათემო საკონსერვაციო ტერიტორიების შექმნას, რაც ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო თანამშრომლობით ხორციელდება. სწორედ ამ მიმართულებით არის განსაზღვრული ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის გაფართოება. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ირმის მზარდი პოპულაციის (ამჟამად პარკში უკვე 500-მდე სული ირემია) წარმომადგენლების გადაადგილებას და მთლიანად, პარკის ფარგლებში იზოლირებული, პოპულაციის სტრუქტურის გაუმჯობესებას. ეროვნული პარკის გაფართოება, ასევე ხელს შეუწყობს კავკასიური არჩვის დასავლეთ მცირე კავკასიონის მცირერიცხოვანი პოპულაციის ზრდას და ამ რეგიონის უნიკალური წიწვოვანი ტყეების, კერძოდ წმინდა ნაძვნარების, ნაძვნარ-სოჭნარების და ფიჭვნარების დაცვას. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მცირე კავკასიონზე ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ეს საკითხი ასევე განხილული იქნას როგორც ერთ-ერთი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიება.

5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, ემისიები სამშენებლო ტექნიკის მუშაობისას, სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტებიდან, გაბნევის ანგარიში;
- ხმაურის გავრცელება და მოსალოდნელი ზემოქმედება მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;

- შემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, მათ შორის მინერალურ და თერმულ წყლებზე და შემარბილებელი ღონისძიებები;
- შემოქმედება ზედაპირულ წყლებზე მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკი;
- საპროექტო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში დეტალურად აღწერილი შემოქმედება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, ამ შემოქმედების, შემცირების, შერბილების და თავიდან აცილების კონკრეტული დროში გაწერილი ღონისძიებები;
- ნარჩენების მართვის საკითხები, ნარჩენების მართვის გეგმა, ნარჩენების წარმოქმნით მოსალოდნელი შემოქმედება;
- შემოქმედება და შემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- შემოქმედება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი მონიტორინგის გეგმა;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა;
- სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება;
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- საპროექტო გზის განთავსების ტერიტორიის სიტუაციური სქემა (შესაბამისი აღნიშვნებით);

6. გზშ-ს ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- აეროფოტო სურათზე (მაღალი გარჩევადობით) დატანილი საპროექტო არეალის სქემატური რუკა ბექდური და ელექტრონული ფორმით (A3 ფორმატი; Shape ფაილი WGS_1984_37N(38N) პროექციით), სადაც მოცემული იქნება საპროექტო გზის ინფრასტრუქტურული ობიექტები, არსებული და საპროექტო გზა, ხიდეები, გვირაბი, სამშენებლო ბანაკი, სამშენებლო მოედნები, სანაყაროს ტერიტორია;
- ანგარიშის დანართში წარმოდგენილი მთლიანი 174430 კვ.მ. ფართობიდან (shp- ფაილები), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს № 299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 161 740 კვ.მ ფართობი მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში. კერძოდ, ადიგენის სატყეო უბნის, კურცხანის სატყეო კვარტალი NN22,23,24. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ტყის ფონდის მართვას დაქვემდებარებული შემოადინებული ფართობზე, 9203 კვ.მ.-ზე, გაცემულია ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია N1000003 (23/07/2010-დან 23/07/2020-მდე) შპს „ტაო“-ზე (10 წლის ვადით), რაც საჭიროებს ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმებას;
- ანგარიშში წარმოდგენილი ალტერნატივებიდან, მიზანშეწონილია, არჩეულ იქნეს ის ალტერნატივა, რომლის განხორციელებაც ნაკლებ ზიანს მიაყენებს ტყის საფარს. ასევე, ანგარიშში არ არის მოცემული ფუჭი ქანების სანაყაროს მოსაწყობად გათვალისწინებული ტერიტორია. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სანაყაროს მოწყობა არ რეგულირდება კანონმდებლობით, ასევე სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე საქმიანობა საჭიროებს შეთანხმებას ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. აღნიშნული შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი, წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გზშ-ის ანგარიშთან ერთად;
- გზშ-ის ანგარიშში ინფორმაცია ნარჩენების მართვის საკითხების შესახებ მოცემული უნდა იყოს „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

- გზმ-ს ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართული უნდა იყოს შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტი (ისტორიკოსი/არქეოლოგი), რათა გამოირიცხოს შესაძლო არქეოლოგიური ობიექტების დაზიანების რისკები.
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით პროექტს შემოქმედება ექნება ბორჯომ- ხარაგაულის ეროვნულ პარკზე, ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ საიტზე (ბორჯომ-ხარაგაული - GE0000010), სხვა მაღალი საკონსერვაციო ღირებულების მქონე ტერიტორიებზე (IBA - ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილი, SPA - ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორია, უნიკალური ტყის ეკოსისტემა და ა.შ.). შესაბამისად, გზმ-ის ანგარიშში აუცილებელია შეფასებული და დასაბუთებული იყოს შემდეგი საკითხები:
 - სკოპინგის ანგარიშში არ არის განხილული დაცულ ტერიტორიაზე პროექტის განხორციელებით გამოწვეული დატვირთვის საკითხი. ამ კუთხით გასათვალისწინებელია აგრეთვე გაზრდილი სატრანსპორტო ნაკადი და გზის მშენებლობით მცენარეული საფარის მოცილების შედეგად მიკროკლიმატის შეცვლის საკითხიც (რაც აძლევს კურორტს განსაკუთრებულ სამკურნალო და რეკრეაციულ დანიშნულებას). ასევე პროექტის განხორციელებით საკმაოდ დიდი ტერიტორია დაექვემდებარება შემოქმედებას, მათ შორის ტყის ჭრას, სადაც ერთ-ერთი გაბატონებული სახეობაა წიფელი, რომელიც წარმოადგენს ბერნის კონვენციით დაცულ სახეობას. ტერიტორიაზე ასევე გავრცელებულია ბერნის კონვენციით დაცულ სხვა მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ასევე ჰაბიტატები. საყურადღებოა, რომ კონვენციის ერთ-ერთი ინსტრუმენტის - ბიოგეოგრაფიული სემინარის მიერ მომზადებული შეფასებები, სახეობებისა და ჰაბიტატების დაცულობის საკმარისობის თაობაზე, მიღებულ იქნა არსებული ვითარების (ხელუხლებელი ზურმუხტის ტერიტორია) მიხედვით. შესაბამისად, პროექტის განხორციელების შედეგად, ეს საკმარისობის სტატუსები გადაიხედება და დიდი ალბათობით შემცირდება/დადაბლდება, რამაც ასევე შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგი გამოიწვიოს. აღნიშნული დასაბუთება და საჭიროების საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყნის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებით (ბერნის კონვენციით), საქართველო ვალდებულია, ზურმუხტის ქსელის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი შემოქმედების მქონე საქმიანობის დაგეგმვის შემთხვევაში, საკითხი შეათანხმოს კონვენციის სამდივნოსთან.
 - გვირახთან დაკავშირებით სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ სამუშაოები განხორციელდება ბურღვა-აფეთქების მეთოდით. თუმცა დოკუმენტი არ მოიცავს ინფორმაციას რა მეთოდით მოხდება უშუალოდ გზის მონაკვეთების მშენებლობა.

გზმ-ის ანგარიშში აუცილებელია დაზუსტდეს სკოპინგის ანგარიშში არსებული უზუსტობები, კერძოდ:

- 147-148 გვერდებზე მოცემულ რუკებზე ზურმუხტის ტერიტორიის სახელი არასწორადაა მითითებული, ბორჯომი-ხარაგაული 2 დამტკიცებული ტერიტორიაა და არა კანდიდატი;
- შემარბილებელ ღონისძიებებში მოცემულია ნაკრესის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებები, რომლებიც არარელევანტურია ამ შემთხვევისათვის. ნაკრესის კვლევა, საიდანაც ამოღებულია 230-ე გვერდზე მოცემული შემარბილებელი ღონისძიებები სავარაუდოდ ეხებოდა ადამიანს და მტაცებელს შორის კონფლიქტის მოგვარების საკითხს და არა ინფრასტრუქტურის მშენებლობით ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის შერბილებას.
- ალტერნატივების მოკლე დახასიათებაში (ცხრილი N9) აღნიშნულია, რომ სამივე ალტერნატივაში მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩატარდება 1565 გრძივ მეტრზე, თუმცა მე-4 ალტერნატივაში განხილული გზა არ ემთხვევა მე-5 და მე-6 ალტერნატივაში განხილულ გზებს.
- ალტერნატივების მოკლე დახასიათებაში (ცხრილი 9) საუკეთესოდ მიჩნეულ მე-6 ალტერნატივაში გზის სიგრძე შეადგენს 19.91 კმ, ხოლო გზის საპროექტო ტექნიკური პარამეტრების მიხედვით (თავი 7.1) გზის სიგრძე შეადგენს დაახლოებით 16 კმ-ს. ამასთან სხვადასხვა ცხრილებში და ტექსტურ ნაწილში მითითებულია სხვადასხვა მონაცემები საპროექტო გზის სიგრძის შესახებ;
- დასაზუსტებელია საპროექტო გზაზე გათვალისწინებული ხიდების რაოდენობები და სიგრძეები. ერთ შემთხვევაში მითითებულია 13 ცალი ხიდი, საერთო სიგრძით 760 მ (ცხრ. N9), მეორე შემთხვევაში (თავი 7.1), მითითებულია სამი ხიდი, საერთო სიგრძით 259 მ, ხოლო ცხრილი N16-ში კი მოცემულია 5 ხიდი საერთო სიგრძე 249,61. ანალოგიური უზუსტობებია ნაპირსამაგრის სიგრძეებთან დაკავშირებით.

- სკოპინგის ანგარიშში საპროექტო გზის მეორე ლოტის დახასიათებაში არ არის განხილული აღნიშნულ მონაკვეთზე დაგეგმილი ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხი, თუმცა ცხრილსა (N16) და სქემატურ ნახაზში მეორე ლოტში მითითებულია ხიდი.
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ გვირაბის მშენებლობა დაგეგმილია მხოლოდ პირველი ალტერნატივის შემთხვევაში, თუმცა შერჩეული მე-6 ალტერნატივაც ითვალისწინებს გვირაბის გაყვანას;
- დაკორექტირდეს ჩანაწერი: „დამის საათებში სინათლით შესაძლო დაბინძურებით გამოწვეულ შეშფოთებას“, რადგანაც სინათლე დაბინძურებას ვერ გამოიწვევს“.

მტკიცებულება:

დანართი №1 - „ადიგენის მუნიციპალიტეტში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 6 მარტის №2-208 ბრძანება

2. ფაქტობრივი გარემოება

„ადიგენის მუნიციპალიტეტში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 6 მარტის №2-208 ბრძანება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით. ამიტომ, 2020 წლის 21 აპრილს მწვანე ალტერნატივამ სარჩელი წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა „ადიგენის მუნიციპალიტეტში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 6 მარტის №2-208 ბრძანების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2020 წლის 15 მაისის განჩინებით წარმოებაში მიიღო მწვანე ალტერნატივას სარჩელი.

მტკიცებულება:

დანართი №2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 15 მაისის განჩინება, საქმე №3/2736-20

3. ფაქტობრივი გარემოება

სკოპინგის დასკვნის გაცემიდან **18 დღეში, 2020 წლის 24 მარტს** საავტომობილო გზების დეპარტამენტმა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განსახილველად წარუდგინა აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ანგარიში და მოითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა.

2020 წლის 27 მარტს განცხადება თანდართული დოკუმენტებით გამოქვეყნდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე. გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განცხადებასთან დაკავშირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა სამინისტროსათვის შესაძლებელი იყო **2020 წლის 29 მაისის** ჩათვლით.

მტკიცებულება :

დანართი №3. საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსი 2020 წლის 24 მარტის წერილი დანართებით; დანართი №4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია

4. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 3 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყანაში იმ დროისათვის მოქმედი საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს

საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ადიგენის მუნიციპალიტეტში "აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის" გზშ-ის ანგარიშზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდებოდა საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე.

მტკიცებულება:

დანართი №5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე 2020 წლის 3 აპრილის განცხადება.

5. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 13 აპრილს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ახალი განაცხადება, რომლის თანახმად 2020 წლის 10 აპრილს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა "აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის" გზშ-ის ანგარიშის პირველ ტომში ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების მიზნით წარმოადგინა გზშ-ის ანგარიშის პირველი ტომის კორექტირებული ვერსია. განცხადებაში არ იყო აღნიშნული რა სახის შეცდომა იყო დაშვებული მანამდე გამოქვეყნებულ დოკუმენტში, ამიტომ დაინტერესებული საზოგადოება იძულებული იყო თავიდან განეხილა საკმაოდ ვრცელი დოკუმენტი.

დოკუმენტის ცვლილებების გამო განცხადების განხილვა თავიდან დაიწყო და გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების ვადამაც კანონით განსაზღვრული 45-დღიანი ვადით გადაიწია **2020 წლის 15 ივნისამდე**. თუმცა, 2020 წლის 13 აპრილის განცხადებით არ გამოქვეყნებულა განსახილველი დოკუმენტები სრულად, გამოქვეყნდა მხოლოდ ახლად წარდგენილი დოკუმენტი და ბმული ორ ძველ განცხადებაზე.

მტკიცებულება:

დანართი №6. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 13 აპრილის განცხადება
დანართი №7. აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ის ანგარიშის პირველი ტომის კორექტირებული ვერსია

6. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 15 ივნისს მწვანე ალტერნატივამ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარუდგინა კომენტარები და შენიშვნები საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე.

წარდგენილ დოკუმენტში მწვანე ალტერნატივა დეტალურად ასაბუთებდა თუ რატომ იყო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ვალდებული, მიეღო გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. კერძოდ, ორგანიზაცი უთითებდა, რომ:

1. განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მოთხოვნებს და „ადიგენის მუნიციპალიტეტში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 6 მარტის #2-208 ბრძანებით დამტკიცებული დასკვნის სავალდებულო პირობებს.

2. სამინისტრომ არ უზრუნველყო გადაწყვეტილების მიღების საზოგადოების ადეკვატური, დროული და ეფექტური ინფორმირება და ჩართვა. პროცესი არ შეესაბამებოდა არც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის და მითუმეტეს, „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მოთხოვნებისათვის.

მტკიცებულება

დანართი №8. მწვანე ალტერნატივას კომენტარები და შენიშვნები

7. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 19 ივნისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ახალი განაცხადება, რომლის თანახმად საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ნაცვლად, სამინისტრომ შეაჩერა ადმინისტრაციული წარმოება. განცხადებაში აღნიშნული იყო: „სამინისტრომ გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების შესახებ. სამინისტრო ადმინისტრაციულ წარმოებას განაახლებს მას შემდეგ, რაც საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი წარმოადგენს სამინისტროს შენიშვნების შესაბამისად დაზუსტებულ ინფორმაციას/დოკუმენტაციას“.

განცხადებას თან ერთვოდა სამინისტროს წერილი საავტომობილო გზების დეპარტამენტს, რომელშიც წარმოდგენილი იყო ვრცელი ჩამონათვალი გადაწყვეტილების მიღებისათვის სავალდებულოდ წარმოსადგენი ინფორმაციისა და შესაცვლელი/გამოსასწორებელი საკითხებისა.

ასევე, განცხადებას თან ერთვოდა სამინისტროს მეორე წერილი, რომლითაც საავტომობილო გზების დეპარტამენტს გაეგზავნა მწვანე ალტერნატივას მიერ წარდგენილი შენიშვნები. ორგანიზაციის შენიშვნების გაგზავნის მიზეზი/დანიშნულება წერილში მითითებული არ იყო.

მტკიცებულება:

დანართი №9. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 19 ივნისის განცხადება
დანართი №10. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი N 5494/01, 17/06/2020
დანართი №11. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი N 5624/01, 19/06/2020

8. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 30 ივნისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ახალი განაცხადება, რომლის თანახმად „2020 წლის 26 ივნისს, სამინისტროს მიერ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან გაგზავნილი იქნა სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ნაკრესის“ შენიშვნები აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით (წერილი N5888/01)“. ორგანიზაციის შენიშვნების გაგზავნის მიზეზი/დანიშნულება წერილში მითითებული არ იყო.

„ნაკრესის“ წერილში მითითებული იყო განსახილველი დოკუმენტის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე: „სამწუხაროდ, ჩვენი აზრით, წარმოდგენილი გზმ-ს დოკუმენტაცია შეიცავს მნიშვნელოვან უზუსტობებს. კერძოდ, „ზურმუხტის ქსელით“ დაცული ჰაბიტატების ნაწილში გზმ-ს ავტორების მიერ მითითებულია, რომ საპროექტო ზონაში მათ მიერ ვერ იქნა გამოვლენილი „ზურმუხტის ქსელის“ საიტი ბორჯომ-ხარაგაულის (GE0000010) სტანდარტულ მონაცემთა ფორმაში მითითებული ჰაბიტატები (D4.1; E1.2; E3.4; E3.5; F7; F9.1; G1.12; G1.6; G3.17; G3.4E; H1).

აქედან გამომდინარე გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის ავტორების აზრით, აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს ბერნის კონვენციით დაცულ ჰაბიტატებზე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, ნეგატიურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. იმავდროულად გამა კონსალტინგის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მითითებულია (გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, ტომი 3, გვ. 135), რომ მშენებლობის ზონაში გავრცელებულია ჰაბიტატები:

- G1.21 მდინარისპირა Alnus-ის ტყე,
- G3.1H აღმოსავლური ნაძვის Picea orientalis ტყეები

აღსანიშნავია, რომ ეს ორი ჰაბიტატი დაცულია ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის №4 რეზოლუციით (გაქრობის საფრთხის წინაშე მყოფი ბუნებრივი ჰაბიტატების ჩამონათვალი, რომელთაც სპეციფიკური საკონსერვაციო ღონისძიებები ესაჭიროება) და მათი სახარბიელო კონსერვაციული სტატუსის შენარჩუნება ქვეყნის ვალდებულებაა, იმის მიუხედავად ნახსენებია თუ არა აღნიშნული ჰაბიტატი სტანდარტულ მონაცემთა ფორმაში. აღნიშნულ ჰაბიტატებზე ისეთივე პროცედურები და მოთხოვნები ვრცელდება, როგორც „ზურმუხტის ქსელის“ საიტი ბორჯომ-ხარაგაულის (GE0000010) სტანდარტულ მონაცემთა ფორმაში მითითებულ 11 ჰაბიტატზე.

სამწუხაროდ გზმ-ს დოკუმენტი არ შეიცავს არანაირ ინფორმაციას იმ პოტენციური საფრთხეების შესახებ, რომელსაც ადგილი ექნება მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, ნახსენებ ორ ჰაბიტატთან მიმართებაში (G1.21 მდინარისპირა Alnus-ის ტყე და G3.1H აღმოსავლური ნაძვის Picea orientalis ტყეები).

გარდა ამისა ჩვენი ორგანიზაციის წინასწარი კვლევები მეტყველებს, რომ "აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობის მონაკვეთზე წარმოდგენილია სტანდარტულ მონაცემთა ფორმაში ნახსენები ჰაბიტატის (G3.4E ევროპული ფიჭვის (Pinus sylvestris) პონტურ-კავკასიური ტყეები) უბნები, რაც ასევე საჭიროებს ბერნის კონვენციით დაცული ჰაბიტატებზე პოტენციური საფრთხეების შეფასებას.

აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით წარმოდგენილი დოკუმენტი, სამწუხაროდ, ვერ იძლევა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისა და „ზურმუხტის ქსელის“ საიტი ბორჯომ-ხარაგაულის (GE000010) ჰაბიტატებზე შემოქმედების სრულ სურათს და არ შეიძლება გამოყენებული იქნას გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად.

მტკიცებულება:

დანართი №12. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 30 ივნისის განცხადება
დანართი №13. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი N5888/01, 26/06/2020

9. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 21 ივლისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება სათაურით: „გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ-საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი“. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ „მიმდინარე წლის 20 ივლისს სამინისტროს წერილის პასუხად (იხ. წერილი) საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა აღნიშნულ გარემოზე შემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით წარმოადგინა დამატებითი ინფორმაცია“. და რომ **დამატებით წარმოდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებული** შენიშვნებისა და მოსაზრებების წარუდგინა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის შესაძლებელი იყო **2020 წლის 7 აგვისტოს ჩათვლით**.

განცხადებას თან ერთვის:

1. საავტომობილო გზების დეპარტამენტის პასუხი სამინისტროს 20 ივლისის წერილზე, რომელშიც აღნიშნული იყო: „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმდინარე წლის 17 ივნისის #5494/01 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ადიგენის მუნიციპალიტეტში, აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე შემოქმედების შეფასების **ანგარიშზე თქვენს მიერ მოწოდებულ შენიშვნებს**, გიგზავნით დამატებით ინფორმაციას და შემოადინებული წერილით წარმოდგენილ **შენიშვნებზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მომზადებულ პასუხებს** (ელექტრონული ვერსია)“.

2. საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენიშვნების პასუხად მომზადებული 622 გვერდიანი დოკუმენტი.

მტკიცებულება:

დანართი №14. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 21 ივლისის განცხადება;
დანართი №15. საგზაო დეპარტამენტის წერილი N 2-12/7538, 20/07/2020
დანართი №16. საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მომზადებული პასუხი

10. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 22 ივლისს მწვანე ალტერნატივამ წერილით მიმართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მოითხოვა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტთან დაკავშირებით დამატებით წარმოდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების განხილვისათვის ვადის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების ასლი და ინფორმაცია დოკუმენტის საჯარო განხილვის თარიღის შესახებ.

პასუხად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციას გადასცა სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება, ხოლო საჯარო განხილვის თარიღის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა.

მტკიცებულება:

დანართი №17. მწვანე ალტერნატივას 2020 წლის 22 ივლისის წერილი №04/10-40;

დანართი №18. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 29 ივლისის წერილი №7210/01;

11. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 24 ივლისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე კვლავ გამოქვეყნდა განცხადება სათაურით - „ინფორმაცია - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტთან დაკავშირებით“. განცხადებაში აღნიშნული იყო: „2020 წლის 21 ივლისს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა განცხადება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე დამატებითი ინფორმაციის წარდგენის შესახებ (იხ. ლინკი). გაცნობებთ, რომ 2020 წლის 24 ივლისს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სამინისტროში წარმოადგინა პასუხები, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ააიპ "მწვანე ალტერნატივას" და სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ნაკრესის“ მიერ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ შენიშვნებზე.“ განცხადებას თან ერთვის და „მწვანე ალტერნატივასა“ და „ნაკრესის“ მიერ წარდგენილი შენიშვნები და მათზე დეპარტამენტის „პასუხი“.

მტკიცებულება:

დანართი №19. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 24 ივლისის განცხადება;

დანართი №20. საავტომობილო გზების დეპარტამენტის წერილი N2-12/7790, 23/07/2020;

12. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 3 სექტემბერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება ადიგენის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ.

გადაწყვეტილების ამსახველი ბრძანებით საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაევალა მთელი რიგი პირობების შესრულება:

პირობა 3. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის, წარმოდგენილი სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილებისა და თავიდან აცილების და საკომპენსაციო ღონისძიებების, ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული უბნის „ბორჯომ-ხარაგაული“ და აბასთუმნის შემოვლითი გზის შესაბამისობის შეფასების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების და რისკის მართვის გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;

პირობა 4. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ფუჭი ქანების სანაყაროს და სამშენებლო ბანაკის/მოედნების დეტალური პროექტების სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა shape ფაილებთან ერთად.

პირობა 5. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მშენებლობის ეტაპზე და მოსამზადებელი საქმიანობის ფაზაში ისეთი სამუშაოების (როგორცაა ტექნიკის მობილიზაცია, მცენარეული საფარის და ნიადაგის მოხსნა და ა.შ.) დაწყებამდე, რომლებმაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს ბიომრავალფეროვნებაზე სამინისტროში წარმოდგენილ ინფორმაციაზე/დოკუმენტაციაზე დამატებით, შესათანხმებლად წარმოადგინოს:

- სანაყაროების, სამშენებლო ბანაკების, სამშენებლო მოედნების და წარმოდგენილი დოკუმენტით განსაზღვრული სხვა დამხმარე ობიექტების განთავსების/საქმიანობის განხორციელების (როგორცაა მცენარეული საფარის და ნიადაგის მოხსნა და ა.შ) შესახებ დეტალური ინფორმაცია ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების ასპექტების გათვალისწინებით, ზემოქმედების თავიდან აცილების/შერბილების დეტალურ ღონისძიებებთან ერთად.
- გზმ-ის ანგარიშით განსაზღვრული, სამუშაოთა ორგანიზაციის დეტალური გეგმა, სადაც ასახული უნდა იყოს ცხოველთა კონკრეტულ სახეობებზე/სახეობათა ჯგუფზე ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით შემოთავაზებული ღონისძიებების განხორციელების გეგმა-გრაფიკი, ადგილებისა და ვადების მითითებით (ამ ცხოველთა სენსიტიურობის პერიოდების გათვალისწინებით, როგორცაა: ცხოველთა გამრავლება, ბუდობა, ტოფობა და ა.შ.).

პირობა 6. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უზრუნველყოს სამშენებლო უბნებზე, გზმ-ის ანგარიშით განსაზღვრული ცხოველთა და მცენარეთა წინასამშენებლო დათვალიერების და საჭიროების შემთხვევაში ბიომრავალფეროვნების დაცვითი ქმედებების განხორციელება, ასევე მშენებლობის ეტაპზე დამატებითი კვლევის ჩატარება მთლიან საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მცენარეთა (მათ შორის *Rhododendron luteum*, *Agrimonia pilosa*) და ცხოველთა სახეობების დაზუსტების, საჭიროების შემთხვევაში მათზე ზემოქმედების დაკონკრეტების და დაცვის მიზნით. ამ კვლევების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვროს ან დაზუსტდეს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემული დამატებით განსახორციელებელი დაცვის, შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებები (მაგ: დამურებისთვის და ციყვისთვის დამატებითი გადასასვლელების მოწყობის საჭიროება შესაბამისი კონსტრუქციის დაზუსტებული მონაცემებით, განთავსების ადგილების და ვადების მითითებით; დამურებზე ზემოქმედების შერბილების მეთოდი და დეტალები (მაგ: ხელოვნური სამყოფელის შექმნა, არსებული სამყოფელის მქონე ხის ტანის ნაწილის გადატანა; განსათავსებელი კონსტრუქციის ოდენობა, განთავსების ადგილები და სხვა); წავის ტერიტორიაზე დაფიქსირების შემთხვევაში, რომელი შემოთავაზებული, შემარბილებელი ქმედება/ები უნდა განხორციელდეს. კვლევები ჩატარდეს შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტ(ებ)ის მონაწილეობით და გაგრძელდეს მთელი მშენებლობის პერიოდში, ხოლო შედეგები შესაბამის ინფორმაციასთან ერთად ყოველკვარტალურად წარმოდგენილი უნდა იქნას სამინისტროში შესათანხმებლად. ამ კვლევების ფარგლებში შემოადინებული ღონისძიებების დაკონკრეტების შეუძლებლობის შემთხვევაში, კვლევები გაგრძელდეს მონიტორინგის ფარგლებში და აისახოს მონიტორინგის გეგმაში. მონიტორინგის შედეგების შესახებ ინფორმაცია/ანგარიში წარმოდგენილი იქნას სამინისტროში შესათანხმებლად, შესაბამისი ფაზის კვლევის დასრულებიდან 1 თვის ვადაში;

პირობა 7. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა საქმიანობის დაწყებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს ინვაზიურ სახეობებთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებების საჭიროების შესახებ დეტალური ინფორმაციის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა.

პირობა 8. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წინასამშენებლო დათვალიერების, მშენებლობის ეტაპის დამატებითი კვლევის და/ან მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვროს/დაკონკრეტდეს სენსიტიური ადგილები და შესაბამისი დაკვირვების წერტილები: ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების შესამცირებლად; ცხოველთათვის პოტენციურად სახიფათო ადგილების შემოღობვისთვის; ბრაკონიერებთან ბრძოლის მიზნით დასამონტაჟებელი კამერების განთავსებისათვის; ავტომანქანების გადაადგილების სიჩქარის შეზღუდვის საკითხები და უბნები/გზის მონაკვეთები; გზაზე, ძუძუმწოვრებზე ავტომანქანების შეჯახების ზემოქმედების შესარბილებლად ამრეკლი ან/და რადიოსიხშირის გადამცემი მოწყობილობების განთავსების საკითხები მათი განთავსების წერტილებისა და რაოდენობის მითითებით. საკითხი აისახოს მონიტორინგის გეგმაში.

პირობა 9. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 1 თვის ვადაში უზრუნველყოს, განახლებული მონიტორინგის გეგმის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც დამატებით იქნება ასახული:

- ე.წ. მწვანე ხიდის მოწყობის საჭიროებასთან დაკავშირებული დაკვირვების საკითხი. წარმოსადგენი ანგარიში უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ ინფორმაციას: ფოტო-ხაზანგებისათვის შერჩეული წერტილების, ცხოველების ჩამონათვალის (რომლებისთვისაც იქნება გათვალისწინებული მწვანე ხიდ(ებ)ი), ხიდ(ებ)ის პარამეტრების და მათი განთავსების ადგილების შესახებ. გეგმაში მითითებული უნდა იყოს აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენის პერიოდულობა;
- ექსპლუატაციის ეტაპზე, ჰაბიტატების ფრაგმენტაციის მიზეზით, ცხოველთა გადაადგილების შეზღუდვის შერბილების მიზნით, მოწყობილი გადასასვლელების და ხიდების, მათ შორის ე.წ. მწვანე ხიდის ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხები;
- დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხი შესაბამისი რეკომენდაციებით და სამინისტროსთან ანგარიშების ვადების მითითებით.

პირობა 10. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს გზშ-ს ანგარიშში მოცემული, დაცული სახეობის მცირე ღია მცენარეების (<8სმ) მქონე ხე-მცენარეების შესაბამის ჰაბიტატში გადარგვასთან (მდგომარეობის შემდგომი მონიტორინგით) დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიების განხორციელების საკითხის შეთანხმება სამინისტროსთან, მცენარეებისა და ჰაბიტატების აღდგენის ოპტიმალური საკომპენსაციო ქმედებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით;

პირობა 11. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, მიუხედავად იმისა, რომ შემოქმედებას დაქვემდებარებული შემდეგი ჰაბიტატები: G1.21 მდინარისპირა Alnus-ის ტყე, რომელიც მხოლოდ წყლის დონის აწევსას სველდება და G3.1H - აღმოსავლური ნაძვის (Picea orientalis) ტყეები არ არის მოცემული ზურმუხტის ტერიტორიის სტანდარტულ მონაცემთა ფორმაში, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში დამატებითი საკომპენსაციო ღონისძიების განხორციელების მიზნით, შეარჩიოს და სამინისტროში წარმოადგინოს ახალი, ადეკვატური ტერიტორიის შესახებ ინფორმაცია ზურმუხტის ქსელში ჩასართავად. ინფორმაცია ასევე უნდა მოიცავდეს ტერიტორიის დეტალურ აღწერას, უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მოთხოვნას ზურმუხტის ქსელში ჩასართავად და შევსებული უნდა იყოს სტანდარტული მონაცემთა ფორმა.

პირობა 12. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ბუნებრივი საფრთხეების შეფასების ქვეთავში განხილული შემარბილებელი ღონისძიებების საფუძველზე, უზრუნველყოს საპროექტო ღირებულების ფარგლებში დაფიქსირებული თითოეული ქვათაცვენის უბნისათვის დამატებითი პრევენციული ღონისძიებ(ებ)ის შემუშავება, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპებისთვის და სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა;

პირობა 13. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებამდე უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების გავლა.

პირობა 14. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სამშენებლო სამუშაოების განხორციელება უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

პირობა 15. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება და სამინისტროსთან შეთანხმება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად. ნარჩენების მართვა უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;

პირობა 16. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა საპროექტო ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული ობიექტების არსებობის, ასევე ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღების ან/და წყალჩაშების შემთხვევაში უზრუნველყოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვა;

პირობა 17. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სახელმწიფო ტყის ფონდის მართვას დაქვემდებარებულ ფართობებზე, ნებისმიერი ქმედება განხორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს აღნიშნული საკითხის სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან დამატებით შეთანხმება;

პირობა 18. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს საქმიანობის სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმება;

პირობა 19. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა დაცულ ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და არ დაუშვას საავტომობილო გზის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობისას ისეთი სამუშაოების წარმოება, რომელიც ეწინააღმდეგება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონს;

პირობა 20. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების მინიჭებამდე უზრუნველყოს დაზუსტებული ტყეკაფის მასალების (მოსაჭრელი ხე-მცენარეების სახეობებით და მოცულობებით) სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა;

პირობა 21. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით აბასთუმნის მინერალური (თერმული) წყლის საბადოს სანიტარიული დაცვის მესამე (სამეთვალყურეო) ზონაში, არ დაუშვას ისეთი სამუშაოს შესრულება, რომელიც უარყოფითად იმოქმედებს მიწისქვეშა წყლის რესურსებსა და საბადოს ტერიტორიის სანიტარიულ მდგომარეობაზე;

მტკიცებულება:

დანართი №21. „ადიგენის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის N 2-785 ბრძანება

12. ფაქტობრივი გარემოება

„ადიგენის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის N 2-785 ბრძანების გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალებში წარმოდგენილია გადაწყვეტილების მიღების პროცესში სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მონაწილეობის ამსახველი 2 წერილი, რომელიც **განსახილველი დოკუმენტებისა, განხილვის პროცესისა და თავად პროექტის კანონის მოთხოვნებთან შესაბამობას ამტკიცებს.**

კერძოდ, 2020 წლის 9 ივნისის წერილში დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის ხელმძღვანელს აცნობებს, რომ: „გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის თავში „დაცული ტერიტორიები“ მიზანშეწონილია, მოყვანილი იქნას ყველა სახის ინფორმაცია: დაარსების, ფართობის, კატეგორიების, ზონების ფართობების და სხვა სახის ინფორმაცია. ინფორმაცია ბიომრავალფეროვნების შესახებ, კონკრეტულად იქნას აღწერილი გეგმარებითი გზისათვის შერჩეულ მონაკვეთზე არსებული ბიომრავალფეროვნების: ტყის ტიპების, ძირითადი ჰაბიტატების, ფაუნის, მათ შორის ფრინველების წარმომადგენლების, რომლებიც ბინადრობენ ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, ასევე კონკრეტული ნუსხა საქართველოს „წითელი ნუსხის“ მცენარეების და ცხოველების, ზურმუხტის საიტის მოკლე აღწერა და ზურმუხტის საიტის მნიშვნელოვანი სახეობები, რადგანაც აღნიშნული ინფორმაცია დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი განცალკევებულად“.

2020 წლის 6 აგვისტოს წერილში კი დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს წარუდგინა წინადადება, რომლებიც საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შესასრულებელ პირობების ნუსხაში უნდა ჩაემატოს და ასევე, **უთითებს განსახილველ დოკუმენტებში შესატანი ცვლილების შესახებ:**

- შესასრულებელ პირობად ჩაიწეროს: „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი იქნას ჩასწორებული ტყე-კაფების მასალები (მოსაჭრელი ხე-მცენარეების სახეობების და დასაზუსტებელი მოცულობებით) სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების მინიჭების ნებართვის გაცემამდე“, ასევე ჩასწორდეს აღნიშნული მონაცემები გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში;
- შესასრულებელ პირობად ჩაიწეროს: „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მიმდინარე გეგმარებით გზის მშენებლობის დროს არ მოხდეს ბურღვა - აფეთქებითი სამუშაოები. ასევე ჩასწორდეს ჩანაწერები გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროექტის ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე და დაცულ ტერიტორიებზე - ნაწილი 1 (ზოგადი), გზის ლოტების აღწერაში და თავში 5.5. „გზის, გვირაბის და ხიდების მშენებლობა“ მითითებული ბურღვა- აფეთქებითი სამუშაოები“. ბურღვა -აფეთქებითი სამუშაოების განხორციელება იკრძალება დაცულ ტერიტორიებზე და ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“.
- ჩასწორდეს ჩანაწერი: „არჩვის პოპულაცია, ჩატარებული კვლევის შესაბამისად, შეადგენდა 1-2 ინდივიდს 100 კმ2- ზე. სიმჭიდროვის ეს მონაცემი არ განსხვავდება ევროპაში და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე დაფიქსირებული მნიშვნელობებისაგან.“ (პროექტის ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე და დაცულ ტერიტორიებზე - ნაწილი 2 (ფონური მდგომარეობა)- დანართი 2. თავი 3. „დაცული ტერიტორიები“-ს, პუნქტი 3.2. „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში წარსულში განხორციელებული კვლევები და ამჟამად მიმდინარე მონიტორინგი“ (გვ.26)), რადგანაც აღნიშნული ჩანაწერით გაურკვეველია ევროპის რომელ ტერიტორიის მონაცემებზეა საუბარი და ასევე, აღსანიშნავია, რომ ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე არჩვი არ ბინადრობს.

მტკიცებულება:

დანართი №22. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2020 წლის 9 ივნისის წერილი №1185
დანართი №23. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2020 წლის 6 აგვისტოს წერილი №1870

13. ფაქტობრივი გარემოება

„ადიგენის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის N 2-785 ბრძანების გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალებში წარმოდგენილია წიაღის ეროვნული სააგენტოს მონაწილეობის ამსახველი წერილი, რომელშიც აღნიშნულია: „საპროექტი ტერიტორია ნაწილობრივ მოიცავს აბასთუმნის მინერალური (თერმული) წყლის საბადოს სანიტარიული დაცვის მესამე (სამეთვალყურეო) ზონას, რომლის ფარგლებში, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას დაქვემდებარებული მიწისქვეშა წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონების განსაზღვრისა და დამტკიცების წესის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 მარტის № 161 დადგენილების მე-8 მუხლის თანახმად, **დაშვებულია ყველა იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც უარყოფითად არ იმოქმედებს მიწისქვეშა წყლის რესურსებსა და საბადოს ტერიტორიის სანიტარიულ მდგომარეობაზე“.**

მტკიცებულება:

დანართი №24 სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 21 აგვისტოს №22/6365 წერილი

14. ფაქტობრივი გარემოება

„ადიგენის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის N 2-785 ბრძანების

გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალებში წარმოდგენილია სსიპ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მონაწილეობის ამსახველი წერილი, რომელშიც აღნიშნულია: „საპროექტო გზის (ლოტი 1 და ლოტი 2) საკვლევი არელების გარკვეული მონაკვეთები და კემპინგისა და ღროებითი ღია საწყობის ტერიტორიები გარკვეულწილად ექცევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინდივიდუალური დამცავი ზონების ვიზუალური დაცვის არელებში ("კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი განისაზღვრება 300 მეტრის რადიუსით, ხოლო ეროვნული კატეგორიის ძეგლისთვის - 500 მეტრის რადიუსით). დანართის სახით გიგზავნით კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემაში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით მომზადებულ, სიტუაციის ამსახველ რამოდენიმე თემატურ რუკას და გაცნობებთ, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემამდე პროექტი (ზემოაღნიშნული ზონების ნაწილში) უნდა შეთანხმდეს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან (იხ. საქართველოს კანონი "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ", თავი VIII, მუხლი 41, პ. 2; საქართველოს მთავრობის დადგენილება N255 31.05.2019, თავი I, მუხლი 3, პ. 2, ი)“.

მტკიცებულება:

დანართი №25 სსიპ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს 2020 წლის 8 მაისის №10/1525 წერილი

15. ფაქტობრივი გარემოება

„ადიგენის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის N 2-785 ბრძანების გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალებში წარმოდგენილია სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ორი, სამი თვის ინტერვალით მომზადებული საქესპერტო დასკვნა. პირველი 2020 წლის 10 ივნისის დასკვნის ავტორია ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქრისტინე კოროშინაძე. დასკვნაში აღნიშნულია:

„წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის გათვალისწინებული ჩვენ მიერ, სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი ინფორმაციის უმეტესობა. მაგალითად, გზაში კვლავ არ ჩანს, მიმართულებების ალტერნატივების განხილვისას რატომ იქნა უარყოფილი პროექტის პირველი მარშრუტი (ბაღდათი-ხაშური-აბასთუმანი), ბიომრავალფეროვნებაზე და დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედების თვალსაზრისით. თუნდაც გზის 82 კმ-ით დაგრძელება და აქედან გამომდინარე გამონაბოლქვის, ხმაურის და ავარიების რისკის ზრდა, არ შეიძლება ამ ალტერნატივის დაწუნების მიზეზად ჩაითვალოს, იმის გათვალისწინებით, რომ 6 ახალი მიმართულებიდან შერჩეული დანარჩენი ალტერნატივებით (გარდა მე-2 და მე-3 ალტერნატივისა, რომლებიც ასევე გამორიცხულია განხილვიდან) ხდება დაცული ტერიტორიის (ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი) მინიმუმ 9 კმ-ით გადაკვეთა, რომელიც თავის მხრივ ემთხვევა ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ საიტს „ბორჯომ-ხარაგაული GE0000010“. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტში პირველი მარშრუტის დაწუნების ერთ-ერთ არგუმენტად მითითებულია, რომ მისი დაახლოებით 24,23 კმ დაცული ტერიტორიების გასწვრივ გადის, დიდი ალბათობით ზემოქმედება ამ შემთხვევაში უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე დაცული ტერიტორიების გადაკვეთით და მისი ფრაგმენტაციით. **აღნიშნული დეტალური კვლევებით უნდა იყოს უარყოფილი, ან დადასტურებული.** ამ კუთხით ასევე გასათვალისწინებელია, რომ ხსენებული პირველი მარშრუტი ემთხვევა არსებულ საავტომობილო გზას. ასევე არ არის მითითებული სხვა, განსაკუთრებით შერჩეული ალტერნატივა რამდენი კმ-ითაა გრძელი არსებულ გზასთან შედარებით. აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა გაკეთდეს შედარებითი ანალიზი, ხსენებული ალტერნატივების შერჩევა/დაწუნებასთან მიმართებით.

ზემოქმედების შეფასების ნაწილი ხშირ შემთხვევაში ზოგადია, მომზადებულია დაშვებებზე დაყრდნობით და აკლია მყარად დასაბუთების ნაწილი. აღნიშნულის განმაპირობებელი სავარაუდოდ ის ფაქტია, რომ ჩატარებული სავლევ კვლევებისას სახეობების დიდი ნაწილი (რომლებიც ლიტერატურული მონაცემებით გვხვდებიან საკვლევ ტერიტორიაზე), ვერ იქნა ნანახი და შესაბამისად 2-წლიანი კვლევები არ აღმოჩნდა საკმარისი სრულფასოვანი შედეგების მისაღებად, ზემოქმედების შესაფასებლად და ამ ზემოქმედების შერბილების/თავიდან აცილების რეკომენდაციების შემოსათავაზებლად. ეს ეხება განსაკუთრებით სახეობებს, რომლებიც გადაშენების საფრთხის პირას არიან, ბერნის კონვენციის, ასევე IBA-ს (ფრინველთათვის

მნიშვნელოვანი ადგილი) და SPA-ს (ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორია) სახეობებს. ამიტომ, რიგ შემთხვევაში, გზმ-ს ანგარიშში მოტანილი დასკვნები, რომ ამა, თუ იმ სახეობაზე შემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი შესაძლოა არ შეესაბამებოდეს რეალობას. შესაბამისად, საჭიროა დამატებითი კვლევების ჩატარება.

როგორც გზმ-ის, ასევე ზზმ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლენილ ცხოველთა სახეობებზე შესაბამისი შემარბილებელი და კონკრეტული ქმედითი ღონისძიებები. საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს საკომპენსაციო ღონისძიებები. **ამჟამად წარმოდგენილი ინფორმაცია სუსტი და ზოგადია. მაგ: წითელი ნუსხის სახეობებზე შემარბილებელ ღონისძიებებში წავთან მიმართებით აღნიშნულია, რომ სოროების აღმოჩენის შემთხვევაში საჭიროა მართვის გეგმის მომზადება და ინჟინერის მიერ დამტკიცება, რაც არ მიგვაჩნია სწორ გადაწყვეტილებად. კავასიურ ციყვთან მიმართებით გაურკვეველია შემდეგი წინადადება „ტყის ზონების შემოვლა ძირითადად გვირახებით ხდება“. მურა დათვზე წერია რომ მხოლოდ მიგრაციის დროს შეიძლება შეგვხვდეს და საბინადრო ადგილი არ არის, მაშინ როდესაც კვლევის დროს ორჯერ იქნა ნანახი. რაც შეეხება კეთილშობილ ირემს, შემარბილებელ ღონისძიებაში ირემის ნაცვლად საუბარია ფოცხვერზე, რაც საჭიროებს გასწორებას.**

გზმ-ს ანგარიშში მითითებულია შემდეგი: „პროექტი კვეთს ორ ჰაბიტატს - აღმოსავლური ნაძვის *Picea orientalis* ტყეების (G3.1H) და მდინარისპირა *Alnus*-ის ტყე, რომელიც მხოლოდ წყლის დონის აწევისას სველდება (G1.21). აღსანიშნავია, რომ ეს ჰაბიტატები ბერნის კონვენციით დაცული არ არის. გზის მშენებლობისას საპროექტო ღერეფნის ჰაბიტატების განადგურება მოსალოდნელი არ არის. თუმცა, პროექტის შედეგად საგრძნობი ზიანი მიაღება საპროექტო ღერეფნით გადაკვეთილ მცენარულ საფარს/ჰაბიტატს“. **აღსანიშნავია, რომ მითითებული ჰაბიტატები დაცულია ბერნის კონვენციით, თუმცა არ ფიგურირებს ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ საიტის „ბორჯომ-ხარაგაული GE0000010“ მონაცემთა სტანდარტულ ფორმაში. შესაბამისად, აღნიშნული საჭიროებს გასწორებას. ამასთან, პროექტის განხორციელებით მოხდება ჰაბიტატების მუდმივად დაკარგვა. ამიტომ მოსაზრება, რომ „გზის მშენებლობისას საპროექტო ღერეფნის ჰაბიტატების განადგურება მოსალოდნელი არ არის“ მცდარია.**

დოკუმენტში კვლავ მოტანილია სხვა ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, მაგალითად: მითითებულია, რომ გზის არსებობა დიდი ძუძუმწოვრებისთვის ფიზიკურ ბარიერს არ წარმოადგენს, თუმცა ამავე წინადადებაში ნათქვამია, რომ „სუნი, ხმაური და მანქანების მოძრაობა აიძულებს სახეობებს რომ მოშორდნენ გზას“, რითაც დასტურდება რომ გზა წარმოადგენს ცხოველებისთვის ხელოვნურ ბარიერს და იწვევს მათი ჰაბიტატის ფრაგმენტაციას, ასევე გადაადგილების შეზღუდვას. გარდა ამისა, შემოქმედების მნიშვნელოვნების განსაზღვრის თაობაზე დასკვნის მომზადებისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ დიდი ზომის ძუძუმწოვრებისათვის გზა გადასადგილებლად შესაძლოა ფიზიკურ ბარიერს არ წარმოადგენდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში მოსალოდნელია მათზე ავტოტრანსპორტის შეჯახებით გამოწვეული შემოქმედება.

წარმოდგენილ ანგარიშში, ერთ-ერთ შემარბილებელ ღონისძიებად მოტანილია ე.წ „მწვანე ხილების“ შესახებ ინფორმაცია, თუმცა კვლავ არ არის აღნიშნული სად და რა პარამეტრების (მაგალითად: სიმაღლე, სიგანე, კონსტრუქციის ტიპი და ა.შ.) და რამდენი ე.წ „მწვანე ხილის“ მოწყობაა დაგეგმილი. ასევე, არ არის სრულფასოვნად აღწერილი და დასაბუთებული, რომელი სახეობებისთვისაა დაგეგმილი ამ ხილების მოწყობა. ამ საკითხზე გზმ-ს ანგარიშში აღნიშნულია, რომ გზის ექსპლუატაციის პირველი ორი წლის განმავლობაში განხორციელდება მონიტორინგი ფოტოხაფანგების მეშვეობით, რომლის შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება მწვანე ხილის მოწყობის კვათი და შემდგომ შემუშავდება პროექტი, **რაც არ მიგვაჩნია მართებულად. მწვანე ხილები უნდა აშენდეს გზის ექსპლუატაციაში შესვლამდე, ანუ მანამდე, ვიდრე ცხოველებზე მოხდება გზის ექსპლუატაციით გამოწვეული შემოქმედება.**

გამოსაყენებელ ასაფეთქებელ ნივთიერებასთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ სკოპინგის დასკვნაში მითითებულ შენიშვნაზე, წარმოდგენილ გზმ-ს ანგარიშში ნათქვამია, რომ „სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას

დაგეგმილია ასაფეთქებელი ნივთიერებების, სავარაუდოდ, „პოვერჯელ მაგნუმ 365“ გამოყენება, თუმცა კვლავ არაფერია ნათქვამი აღნიშნული ნივთიერების გამოყენების საჭიროების და მისი გამოყენებით გამოწვეული ზემოქმედების შესახებ.

რაც შეეხება მეოთხე დანართში მოტანილ ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შეფასებას (ზზმ), არ არის ხარისხიანი. მაგალითად დაუსაბუთებელია ისეთ სახეობებზე, რომელიც კვლევის დროს დაფიქსირდა (მურა დათვი, მგელი) „ზემოქმედების მნიშვნელობის“ გრაფაში რატომ წერია რომ მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ ექნება პროექტს და დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება არ არის საჭირო, მაშინ როცა სხვა სახეობებზე, მათ შორის ისეთებზე, რომლებიც კვლევის დროს არ დაფიქსირებულა (მაგ: ხელფრთიანები) ზემოქმედება საშუალო მნიშვნელობისა და შემოთავაზებულია სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები. ასევე ზოგადად გაურკვეველია სახეობებზე ზემოქმედების გრაფაში რა პრინციპით იქნა შერჩეული ზემოქმედების მნიშვნელობად „უმნიშვნელო“ და „დაბალი მნიშვნელობის“.

ამასთან ზზმ-ში მოტანილია გზმ-ის კვლევებთან შედარებით ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია. მაგ: ზზმ-ში მურა დათვზე წერია რომ „საველე კვლევებისას, უშუალოდ საპროექტო დერეფანში დათვისთვის საბინადრო გარემო არ დაფიქსირებულა, თუმცა მისი გავრცელების არეალიდან გამომდინარე ვერ გამოვრიცხავთ საკვლევ ტერიტორიაზე მის მიგრაციას“, მაშინ როცა „პროექტისთვის ჩატარებული საველე კვლევებისას დათვის არსებობა დაფიქსირდა გაზაფხულის და ზამთრის საველე ექსპედიციების დროს“. ასევე მოტანილია (გვ 189) ფოტომასალა დათვის ნაკვალევის, ექსკრემენტების და ბუნაგის. გაურკვეველია, თუ ფოცხვერის „გავრცელების არეალიდან გამომდინარე ვერ გამოვრიცხავთ საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს მის არსებობას და მიგრაციას“, რატომ არის მოსალოდნელი ზემოქმედება „უმნიშვნელო“ და რატომ არ საჭიროებს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას. ასევე გაურკვეველია კრახანაჩამიაზე პროექტის ზემოქმედების ნაწილში რატომ განისაზღვრა ზემოქმედება „დაბალი მნიშვნელობის მქონედ“, მაშინ როცა ზზმ-ის ანგარიშში წერია, რომ „საპროექტო დერეფანში არსებული ჰაბიტატი აღნიშნული სახეობისთვის ხელსაყრელი საბუდარი და საკვები არეალია, შესაბამისად პროექტის განხორციელების შედეგად მათი საარსებო ჰაბიტატი ნაწილობრივ შეიზღუდება“.

რაც შეეხება გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილ საკომპენსაციო ღონისძიებებს, საიდანაც ირკვევა რომ იგეგმება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის გაფართოება 4183 ჰა-ით, აღსანიშნავია რომ დაცული ტერიტორიების გაფართოება ვერ ჩაითვლება ზურმუხტის ტერიტორიაზე პროექტით მიყენებული ზიანის საკომპენსაციო ღონისძიებად, განსაკუთრებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შემოთავაზებული 4183 ჰა-დან 1423 ჰა ემთხვევა უკვე არსებულ, ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ საიტს (ბორჯომ-ხარაგაული 2). აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროდ მიგვაჩნია, გზმ-ს ანგარიშში აისახოს, სათანადო კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული და დასაბუთებული ინფორმაცია, ზურმუხტის ხსენებული ტერიტორიის ფართობის შეზღუდვის (მასზე გზისა და ყველა დამხმარე ინფრასტრუქტურის განთავსების გამო) და მის ეკოლოგიურ მახასიათებლებზე ზემოქმედების (სახეობები და ჰაბიტატები, რომელთა დასაცავადაცაა შექმნილი მითითებული ზურმუხტის ტერიტორია), ადეკვატური კომპენსაციის თაობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინფორმაციაში შემოთავაზებული უნდა იყოს ფართობი/ები (შესაძლებელია ზურმუხტის გარეთ დარჩენილი 2749 ჰა-ის ჩართვის განხილვაც ზურმუხტის ქსელში, როგორც საკომპენსაციო ტერიტორიის ნაწილისა), რომლის მახასიათებლები სრულად აკმაყოფილებს საკომპენსაციო და საკონსერვაციო მიზნებს. ამასთან საკომპენსაციო ტერიტორიის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს მისი განთავსების ბიოგეოგრაფიული რეგიონიც. წინასწარი კვლევების საფუძველზე უნდა იყოს დასაბუთებული, რომ შემოთავაზებული საკომპენსაციო ტერიტორია/ები შეესაბამება ზემოთ აღწერილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნული მოთხოვნა გამომდინარეობს „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ (ბერნის) კონვენციიდან, კერძოდ: ბერნის კონვენციის მეხუთე რეზოლუციის მეოთხე მუხლის 4.2 პუნქტის მიხედვით, თუ ზურმუხტის ტერიტორიაზე იგეგმება რაიმე ცვლილება, რომელიც ნეგატიურად აისახება ტერიტორიის ეკოლოგიურ მახასიათებლებზე, ქვეყანამ ამ ცვლილების შესახებ უნდა აცნობოს კონვენციას. ამავე მუხლის 4.3 პუნქტის მიხედვით, თუ ასეთი ცვლილებები დადასტურდება, კონვენციას აქვს უფლება მოსთხოვოს ქვეყანას იმოქმედოს ისე, როგორც დადგენილია მეთექვსმეტე რეკომენდაციაში. მეთექვსმეტე რეკომენდაციაში

გაწერილია ზურმუხტის ტერიტორიების შექმნის და მართვის საკითხები. ამ ორი დოკუმენტის შესაბამისად ბერნის კონვენცია უფლებამოსილია ქვეყანას მოთხოვოს იმ ტერიტორიის ადეკვატური კომპენსირება, რომლის ეკოლოგიური მახასიათებლებიც შეიცვალა. ქმედებები, თუ როგორ უნდა მოიქცეს ქვეყანა როდესაც დგება ნეგატიური შედეგი ზურმუხტის ტერიტორიაზე, აღწერილია კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ დამტკიცებულ (06/12/2019წ.) რეკომენდაციაში N208 - ზურმუხტის ტერიტორიაზე ეკოლოგიური ცვლილებების აღმოჩენის, ანგარიშგების, შეფასების და საპასუხო ქმედებების შესახებ. აღნიშნული რეკომენდაციის მიხედვით, უნდა მოხდეს იმ ტერიტორიის კომპენსირება, რომელიც დაზიანდა, თუ ნეგატიური ცვლილების თავიდან არიდება, ან შერბილება შეუძლებელია. აღნიშნული თავისთავად გულისხმობს, რომ საკომპენსაციოდ უნდა შეირჩეს შემოქმედებას დაქვემდებარებული ფართობის ადეკვატური ტერიტორია, რომელზეც შესაძლებელი იქნება იმავე ეკოლოგიური მახასიათებლების დაცვა, რომლებიც დაცული იყო თავდაპირველ ტერიტორიაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია, გადამუშავდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ბიომრავალფეროვნების ნაწილი“.

ზემოთ მოყვანილი დასკვნის გათვალისწინებით საგზაო დეპარტამენტის მიერ ერთ თვეში გადამუშავებულ, სამინისტროში 2020 წლის 20 ივლისს წარმოდგენილ, დოკუმენტზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების სამმართველოს უფროსმა ნონა ხელაიამ შესაძლებლად ჩათვალა ბიომრავალფეროვნებაზე შემოქმედების შესწავლასა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვასთან დაკავშირებული ვალდებულებების მშენებლობის დაწყებამდე გადავადება. ასევე, ბიომრავალფეროვნების სამსახურის უფროსისათვის არ აღმოჩნდა პრობლემური, მაგალითად, გზის ექსპლუატაციისას ფოტონაფანგებით ცხოველებზე შემოქმედების დაკვირვება და დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით შემდგომში მწვანე ხიდის მოწყობა.

მისივე დასკვნის თანახმად, განსახილველ დოკუმენტში უნდა გასწორდეს „ტექნიკური შეცდომები“, კერძოდ: „წარმოდგენილი დოკუმენტის ტომი 1-ის ცხრილი 2-ში, ალტერნატივების სკრინინგის ნაწილში (გვ.22), ოპერირების ეტაპზე ცხოველებზე შემოქმედებასთან დაკავშირებით გასასწორებელია მექანიკური შეცდომა, სადაც მითითებულია, რომ გზის სიგრძიდან გამომდინარე, მე-6 ალტერნატივას შედარებით მეტი შემოქმედება ექნება მე-4 და მე-5-სთან შედარებით. რეალურად მე-6 ალტერნატივა უფრო მოკლეა; წარმოდგენილი დოკუმენტის ტომი 3-ში, მე-3 გვერდზე მოხსენიებულია წიფელი, რომელიც კვლევებით არ ფიქსირდება ტერიტორიაზე. შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ეს ტექნიკური ხარვეზი გამოსასწორებელია“.

მტკიცებულება:

დანართი №26 გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ქრისტინე კოროშინაძის 2020 წლის 4 ივნისის დასკვნა; დანართი №27 გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების სამმართველოს უფროსის, ნონა ხელაიას 2020 წლის 3 სექტემბრის დასკვნა;

16. ფაქტობრივი გარემოება

„ადიგენის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის N 2-785 ბრძანების გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალებში წარმოდგენილია ბიოლოგიის დოქტორის კ. იამადაშვილის საექსპერტო დასკვნა.

დასკვნაში დეტალურად და ვრცლად ხარისხისა და შინაარსის შეფასების გარეშე მიმოხილულია დოკუმენტის სტრუქტურა. დოკუმენტის ბოლოს კი აღნიშნულია, რომ ანგარიში „აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს და დადებით შეფასებას იმსახურებს“.

აქვე უნდა აღინიშნოს, დოკუმენტში ერთადერთი შინაარსობრივი შეფასება წარმოდგენილია რეკომენდაციის სტატუსით და შემდეგში მდგომარეობს: „ანგარიშის მეთოდოლოგიურ ნაწილში (9.8.2) მართალია მითითებულია, რომ გამოყენებული იქნა ძირითადად ჰაბიტატის შემქმნელ სახეობათა პროექციული დაფარულობის განსაზღვრის მეთოდი და მონაცემთა ჯამური ანალიზის საფუძველზე დადგინდა სახეობათა განაწილების მახასიათებელი, რაც ჩვენი აზრით, არ იძლევა ტყის ეკოსისტემის სრული ფიტოცენოლოგიური ანალიზის შესაძლებლობას (9.8.5), რადგან ტყე წარმოადგენს განსაკუთრებულ, ხანგრძლივი დროის მანძილზე ფორმირებულ ეკოსისტემას, სადაც გარემო პირობების (მდებარეობა, გეოლოგიური აგებულება, ფერდობის ექსპოზიცია, ნიადაგი და მისი დატენიანების ხარისხი, ტყის მკვდარი საფარი) გავლენით ჩამოყალიბებულია რიგი მნიშვნელოვანი სტრუქტურული მახასიათებლები: მთავარი საბურველის კალთაშეკრულობა, სიხშირე, ტყისშემქმნელ მერქნიან სახეობათა ხნოვანება, იარუსიანობა, პოპულაციათა სინუზიების სივრცითი განაწილება, დინამიკა - ბუნებრივი განახლების მონაცემების მიხედვით და სხვ.“

მტკიცებულება:

დანართი №28 ბიოლოგიის დოქტორის კ. იაშაღაშვილის საექსპერტო 2020 წლის 21 მაისის დასკვნა

17. ფაქტობრივი გარემოება

„ადიგენის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის N 2-785 ბრძანების გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალებში წარმოდგენილია გეოლოგიის დეპარტამენტის გეოეკოლოგიურ გართულებებზე რეაგირების სამმართველოს უფროსის ოთარ ქურციკიძის საექსპერტო დასკვნა.

დასკვნის თანახმად, „წარმოდგენილი ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი მთლიანობაში კვალიფიციურად არის შესრულებული და მისაღებია სახელმძღვანელოდ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივი საფრთხეების შეფასების ნაწილში განხილული შემარბილებელი ღონისძიებები ზოგადი ხასიათისაა და არ იკვეთება თუ კონკრეტულად რომელ ღონისძიებას ენიჭება უპირატესობა საპროექტო დერეფნის ფარგლებში, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიშის ავტორების მიერ დაფიქსირებული, თითოეული ქვათაცვენის უბნისათვის. საჭიროა მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, გზის მშენებლობის შემოქმედების ხარისხიდან გამომდინარე, აგრეთვე გეოლოგიური და რელიეფური პირობების გათვალისწინებით, აღნიშნული ქვათაცვენის უბნებისათვის შეირჩეს ოპტიმალური პრევენციული ღონისძიების მეთოდი. მშენებლობის დაწყებამდე საჭიროა ფუჭი ქანების განთავსებისათვის შერჩეული სანაყაროების პროექტების სამინისტროში წარმოდგენა შესათანხმებლად“.

მტკიცებულება:

დანართი №29 საექსპერტო დასკვნა აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე შემოქმედების შეფასების ანგარიშის გეოლოგიურ ნაწილზე

17. ფაქტობრივი გარემოება

„ადიგენის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის N 2-785 ბრძანება და მისი გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების ასლი მწვანე ალტერნატივას გადაეცა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 29 სექტემბრის წერილით.

მტკიცებულება:

დანართი №30 გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 29 სექტემბრის №9281/01 წერილით.

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი „ადიგენის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის N 2-785 ბრძანება.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

1. სარჩელი შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ:

1.1. სსსკ-ის 177.3 მუხლის თანახმად, სარჩელი უნდა პასუხობდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი უნდა იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით. სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. წინამდებარე სარჩელი შედგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშში ასახული კითხვარების მიხედვით, თანამიმდევრობით არის გადმოცემული დავის არსი, სრულყოფილად და თანამიმდევრულად არის გადმოცემული თითოეული ფაქტობრივი გარემოება, ამ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მოსარჩელის მოსაზრებები, ასევე თანამიმდევრულად არის მითითებული და წარმოდგენილი ამ ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები (იხ. სარჩელი)

1.2. სარჩელი სრულად შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, მასში შესაბამის გრაფაში მითითებულია მხარეები, მათი რეკვიზიტები სრულად.

1.3. სარჩელი წარმოდგენილია განსჯად სასამართლოში, რომელიც არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, ვინაიდან გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ, რომლის იურიდიული მისამართია - ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი 6.

2. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს:

მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული - „ადიგენის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის N 2-785 ბრძანება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით და ის ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, შემდეგ გარემოებათა გამო:

2.1. სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

2.2. სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. გასაჩივრებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის

მუერნეობის მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის N 2-785 ბრძანება, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, ვინაიდან გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე მითითებით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ამ მმართველობითი ღონისძიების შედეგად დამტკიცებულია - ადიგენის მუნიციპალიტეტში აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

2.3. სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განხორციელოს რაიმე ქმედება.

3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი:

3.1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სამინისტროს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნა სავალდებულოა საქმიანობის განმანორციელებლისთვის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისას.

როგორც განსახილველად გამოქვეყნებული დოკუმენტები, ასევე გასაჩივრებული აქტის ტექსტი და ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაინტერესებული მხარეებისა და სხვადასხვა უწყებების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები ადასტურებს, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში არ მოიცავდა გარემოსდაცვითი „ადიგენის მუნიციპალიტეტში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 6 მარტის №2-208 ბრძანების თანახმად, სავალდებულოდ წარმოსადგენ ინფორმაციას.

3.2. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს:

ა) დაგეგმილი საქმიანობის აღწერას, კერძოდ:

ა.ა) საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერას, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), აგრეთვე დაგეგმილი საქმიანობისთვის გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერას;

ა.ბ) ინფორმაციას მიწის კატეგორიისა და მიწათსარგებლობის ფორმის შესახებ, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე;

ა.გ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების (სიმძლავრე, მასშტაბი და საწარმოო პროცესი, მათ შორის, შესაძლო საწარმოებელი პროდუქციის ოდენობა, მოთხოვნილი ენერჯია, წარმოებისას გამოსაყენებელი მასალა და ბუნებრივი რესურსები და სხვა) შესახებ;

ა.დ) ინფორმაციას სადემონტაჟო სამუშაოებისა და მეთოდების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში);

ა.ე) ინფორმაციას მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე შესაძლო უარყოფითი შედეგების და ემისიების (როგორებიცაა წყლის, ჰაერის, მიწის და წიაღისეულის დაბინძურება, ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, სითბური გამოსხივება, რადიაცია) შესახებ;

ა.ვ) ინფორმაციას იმ ნარჩენების სახეების, მახასიათებლებისა და რაოდენობის შესახებ, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ დამატებით ინფორმაციას;

ბ) ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით;

გ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ, მათ შორის, მოსახლეობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ბიომრავალფეროვნებაზე (მათ შორის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ჰაბიტატები, ეკოსისტემები), წყალზე (მათ შორის, ჰიდრომორფოლოგიური

ცვლილებები, რაოდენობა, ხარისხი), ჰაერზე, ნიადაგზე (მათ შორის, ნიადაგის მოხსნა), მიწაზე (მათ შორის, ორგანული ნივთიერებები, ეროზია, დატკეპნა, დეგრადაცია), კლიმატზე (მათ შორის, სათბურის გაზების ემისია), ლანდშაფტზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე (მათ შორის, არქიტექტურული და არქეოლოგიური ასპექტები) და მატერიალურ ფასეულობებზე ზემოქმედების შესახებ;

დ) ინფორმაციას ამ ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპონენტებსა და მათ ურთიერთქმედებაზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი, კუმულაციური, ტრანსსასაზღვრო, მოკლევადიანი და გრძელვადიანი, პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედების შესახებ, რომელიც გამოწვეულია:

დ.ა) დაგეგმილი საქმიანობისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სადემონტაჟო სამუშაოებით;

დ.ბ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენებით, ამ რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით;

დ.გ) გარემოს დამაბინძურებელი ფაქტორების ემისიით, ხმაურით, ვიბრაციით, რადიაციით, ნარჩენების განთავსებითა და აღდგენით;

დ.დ) გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე ან კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების რისკებით (მაგალითად, ავარიის ან კატასტროფის შემთხვევაში);

დ.ე) სხვა, არსებულ საქმიანობასთან ან დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედებით;

დ.ვ) საქმიანობის კლიმატზე ზემოქმედებით და კლიმატის ცვლილებით განპირობებული საქმიანობის მოწყვლადობით;

დ.ზ) გამოყენებული ტექნოლოგიით, მასალით ან/და ნივთიერებით;

ე) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად შესაძლო ინციდენტების განსაზღვრისა და მათი შედეგების შეფასების შესახებ, მათ შორის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების სამოქმედო გეგმას;

ვ) სამოქმედო გეგმას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგების, მათი თავიდან აცილების, შემცირების, შერბილებისა და კომპენსაციის ღონისძიებათა შესახებ. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს როგორც საქმიანობის განხორციელების, ისე შემდგომი ექსპლუატაციის ეტაპებს;

ზ) გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ქრისტილში;

თ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ამ საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის საშუალებების შესახებ;

ი) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერას, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;

კ) სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასებას;

ლ) ინფორმაციას კვლევების მეთოდოლოგიის და გარემოს შესახებ ინფორმაციის წყაროების თაობაზე;

მ) ამ ნაწილის „ა“-„ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოკლე არატექნიკურ რეზიუმეს, საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

4. გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი საბადაოს დამუშავების გეგმა (მათ შორის, რეკულტივაციის პროექტი), საჭიროების შემთხვევაში;

ბ) ინფორმაცია იმ კონსულტანტის დასახელებისა და იურიდიული მისამართის შესახებ, რომელიც მონაწილეობდა გზმ-ის ანგარიშის მომზადებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

- გ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის გენერალური გეგმა, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), რომელშიც აღნიშნულია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი, დროებითი ნაგებობები და კომუნალური სისტემები;
- დ) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისთვის – საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, ფიზიკური პირისთვის – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლი;
- ე) ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობით გათვალისწინებული მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევრის განთავსების ტერიტორიის (სანაყარო) ალტერნატივების შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით, აგრეთვე ინფორმაცია აღნიშნული გამონამუშევრის განთავსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

როგორც განსახილველად გამოქვეყნებული დოკუმენტები, ასევე გასაჩივრებული აქტის ტექსტი და ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაინტერესებული მხარეებისა და სხვადასხვა უწყებების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები ადასტურებს, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში არ მოიცავდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, სავალდებულოდ წარმოსადგენ ინფორმაციას.

3.3 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება მოიცავს:

- ა) ექსპერტიზას;
- ბ) საზოგადოებისა და უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების მონაწილეობას;
- გ) შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შემთხვევაში – ამ კოდექსის V თავით გათვალისწინებულ პროცედურას“.

საქმიანობის განმახორციელებელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტში შესატანი ცვლილებებზე და შეცდომების გასწორებაზე მუშაობა - რითაც იყო დაკავებული გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ზემოაღწერილი პროცესის განმავლობაში, არ შედის ადმინისტრაციული წარმოების კოდექსით გათვალისწინებულ არცერთ ნაწილში. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, როგორც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემაზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ვალდებული იყო დარჩენილიყო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში და არ ჩართულიყო გადაწყვეტილების მიღებისათვის წარდგენილი დოკუმენტაციის შეცვლის/ჩასწორების პროცესში - რის შესახებაც მითითებული გაქვს ფაქტობრივი გარემოებების აღწერაში და წარმოდგენილი გვაქვს შესაბამისი მტკიცებულებები. აღნიშნული ყველაზე თვალსაჩინო მტკიცებულებაა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 17 ივნისის N5494/01 წერილი საავტომობილო გზების დეპარტამენტს, რომლითაც სამინისტრო საავტომობილო გზების დეპარტამენტს აუწყა ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების თაობაზე და წარუდგინა ვრცელი ჩამონათვალი გადაწყვეტილების მიღებისათვის სავალდებულოდ წარმოსადგენი ინფორმაციისა და შესაცვლელი/გამოსასწორებელი საკითხებისა.

3.4. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის, მეცხრე ნაწილის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ, ხოლო ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას – საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ.

გასაჩივრებული აქტის გამოცემისათვის ადმინისტრაციული წარმოება თითქმის 6 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა - 2020 წლის 24 მარტს დაიწყო და 2020 წლის 3 სექტემბერს დასრულდა; ხოლო, გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების გახანგრძლივების შესახებ მიღებული არ ყოფილა.

3.5 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად, მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, თუ:

ა) საქმიანობის განხორციელება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან სასამართლოს/არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას;

ბ) გზმ-ის ანგარიშით ან/და ექსპერტიზის დასკვნით დგინდება გარემოზე ზემოქმედების ხასიათის და მოცულობის მიუღებლობა, გარემოზე ზემოქმედების რისკის პრევენციის შეუძლებლობა ან/და გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობა.

მე-14 მუხლით განსაზღვრული ორივე პირობა სახეზე იყო გასაჩივრებული აქტის გამოცემისას და სამინისტრო ვალდებული იყო მიედო გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ.

4. დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ საქართველოს კანონი

4.1 „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი.

„აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტის“ გზმ ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი პროექტი მდებარეობს ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის ფარგლებში.

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ტრადიციული გამოყენების ზონა არის ეროვნული პარკის ზონა, რომელიც ეწყობა ბუნების დაცვისა და განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციულ გამოყენებასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობისათვის. ამ ზონაში დაშვებულია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებით და ბუნებრივი პროდუქტიულობით ლიმიტირებული თიბვა, ძოვება, საშეშე მერქნის მოპოვება და სხვა საქმიანობა. აღნიშნულ ზონაში დაშვებულია ხვანა-თესვა და სასოფლო-სამეურნეო ნაგებობების (გარდა დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმით ან დროებითი რეგულირების წესით განსაზღვრული დამხმარე ან დროებითი ნაგებობებისა და შინაური ცხოველების სადგომებისა) განთავსება. საავტომობილო გზის მშენებლობა ვერანაირი კრიტერიუმით ვერ განიხილება ბუნებრივი რესურსების ტრადიციულ გამოყენებასთან დაკავშირებულ სამეურნეო საქმიანობად. შესაბამისად, დაგეგმილი პროექტის გზმ ანგარიშით შემოთავაზებული სახით განხორციელება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

4.2. დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის („საქმიანობა დაცულ ტერიტორიებზე“) მე-4 პუნქტის თანახმად, დაცული ტერიტორიის შიგნით იკრძალება:

„ა) ბუნებრივი ეკოსისტემების რღვევა და სახის შეცვლა;

ბ) ექსპლუატაციის ან რაიმე სხვა მიზნით რომელიმე ბუნებრივი რესურსის განადგურება (ამოწყვეტა), ამოღება (დატყვევება), რღვევა, დაზიანება (დახეობრება), შემფოთება.“

ნათელია, რომ დაგეგმილი საქმიანობა უცილობლად გამოიწვევს ზემოჩამოთვლილ ზემოქმედებას.

4.3. დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის („საქმიანობა დაცულ ტერიტორიებზე“) მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დაცული ტერიტორიის შიგნით იკრძალება ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებების შეტანა.

პროექტის მიხედვით საავტომობილო გზის გაყვანა იგეგმება ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოებით. აფეთქებითი სამუშაოების წარმოება საჭირო იქნება იმ მონაკვეთის მთელ სიგრძეზე, რომელიც გადის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე.

5. „წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის შესახებ“ საქართველოს კანონი

საპროექტო გზის მნიშვნელოვანი ნაწილი გადის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცული არაერთი სახეობის საბინადრო გარემოს. საავტომობილო გზა იქნება დაახლოებით 9 მეტრი სიგანის სიგრძივი ინფრასტრუქტურა და მოითხოვს მის

მთელს სიგრძეზე ტყისა და მცენარეული საფარის განადგურებას - გაკაფვის, აფეთქებებისა და საექსკავაციო სამუშაოების გზით, რაც გამოიწვევს სხვადასხვა სახეობების, მათ შორის „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცული სახეობების საბინადრო გარემოს განადგურებას, დეგრადაციას და ფრაგმენტაციას.

„წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების დაღუპვა, რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალის, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების დარღვევა“.

ამავე კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ველურ მცენარეთა მოსპობა, მათი რაოდენობის ან/და გავრცელების არეალის შემცირება“. ხოლო მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „სატყეო ფონდის მიწებზე აკრძალულია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ველურ მცენარეთა ქრა ან ისეთი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ველურ მცენარეთა სახეობებს“.

მე-12 მუხლის 21 პუნქტი უშვებს გარკვეულ გამონაკლისებს და ამბობს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული შეზღუდვები არ ვრცელდება ამ კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „ი“ ქვეპუნქტებით დადგენილ შემთხვევებზე. თუმცა, გზმ ანგარიშში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც გვაჩვენებდა, რომ არსებობდა „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „ი“ ქვეპუნქტებით დადგენილი გამონაკლისების საფუძველი.

6. საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ზრუნავს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობაზე; სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიღებული გადაწყვეტილებით უგულებელყო გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობაზე და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე კონსტიტუციით დადგენილი ვალდებულება.

7. სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

8. ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია, ძალაშია 01/03/2010-დან

საპროექტო ტერიტორიაზე გხვდება ბერნის კონვენციით მკაცრად დაცული პრიორიტეტული ჰაბიტატები თუ სახეობები, რომლებზეც საქმიანობა იქონიებს ზემოქმედებას. საპროექტო არეალში ექვევა ბერნის კონვენციის მე-4 რეზოლუციით (გაქრობის საფრთხის წინაშე მყოფი ბუნებრივი ჰაბიტატების ჩამონათვალი, რომელთაც სფეციფიკური საკონსერვაციო ღონისძიებები ესაჭიროება) დაცული სულ მცირე 2 ჰაბიტატი: „G1.21 მდინარისპირა Alnus-ის ტყე, რომელიც მხოლოდ წყლის დონის აწევისას სველდება“ და „G3.1H აღმოსავლური ნაძვის Picea orientalis ტყეები“ ასევე ცხოველთა არაერთი სახეობა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ბერნის კონვენციით დაცული არაერთი სახეობისთვის საპროექტო ღერეფანი წარმოადგენს სამიგრაციო ან საკვების მოპოვების ადგილს.

გასაჩივრებული აქტი არღვევს ევროპის საბჭოს „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის“ (რეატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 30 დეკემბერის N940-რს დადგენილებით), იგივე ბერნის კონვენციის მე-4 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის მოთხოვნებს, რომელთა თანახმად, კონვენციის ხელისმომწერი მხარეები ვალდებული არიან მიიღონ შესაბამისი და აუცილებელი საკანონმდებლო და

ადმინისტრაციულ ზომები კონვენციით დაცული ველური ფლორისა და ფაუნის სახეობათა ჰაბიტატების და საფრთხის წინაშე მდგომი ბუნებრივი ჰაბიტატების კონსერვაციის უზრუნველსაყოფად; გაითვალისწინონ დაცული ტერიტორიების საკონსერვაციო მოთხოვნები, იმისათვის რომ შეძლებისდაგვარად თავიდან იქნას აცილებული ან მინიმუმამდე დაყვანილი ასეთი ტერიტორიების მდგომარეობის გაუარესება. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიგრირებადი სახეობებისათვის მნიშვნელოვანი ადგილების დაცვას. გასაჩივრებული აქტი ასევე ეწინააღმდეგება: კონვენციის მე-5 მუხლს, რომლის თანახმად აკრძალულია კონვენციით დაცული მცენარეების განზრახ მოკრეფა, შეგროვება, მოჭრა, ან ფესვიანად ამოთხრა; კონვენციის მე-6 მუხლს, რომლითაც აკრძალულია კონვენციით დაცული ველური ფაუნის სახეობების დასვენების ან გამრავლების ადგილების განზრახ დაზიანება და ნგრევა; ველური ფაუნის განზრახ შემფოთება, განსაკუთრებით გამრავლების, შთამომავლობის გამოზრდის და ძილქუშის პერიოდში.

9. ბერნის კონვენციასთან ერთად ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია ევროკავშირის 1992 წლის 21 მაისის 92/43/EC დირექტივა „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“. ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად (რეტიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 18 ივლისის N2495-რს დადგენილებით) საქართველომ აიღო ვალდებულება (XXVI დანართის - „გარემოს დაცვა“, ქვეთავი „ბუნების დაცვა“ მიხედვით) ამ დირექტივის დებულებების შესრულებაზე. კერძოდ, საქართველო ვალდებულია მოახდინოს ზურმუხტის ქსელის ტერიტორიების ინვენტარიზაცია და განსაზღვროს მათი მართვისათვის პრიორიტეტები (მუხლი 4); საქართველო ვალდებულია დააწესოს სახეობების დაცვის მკაცრი რეჟიმი იმ სახეობებისთვის, რომელთა ჩამონათვალიც ამ დირექტივის IV დანართშია მოცემული, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს მიერ და შეესაბამება ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის ევროპის საბჭოს კონვენციის ფარგლებში საქართველოს მიერ ზოგიერთ სახეობაზე დაწესებულ დათქმებს (მუხლი 12).

დირექტივის მე-4 მუხლის თანახმად, იმ ტერიტორიაზე, სადაც გვხვდება პრიორიტეტული ბუნებრივი ჰაბიტატის ტიპი და /ან პრიორიტეტული სახეობა, უარყოფითი ზემოქმედების მქონე პროექტი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს უპირატესი საჯარო ინტერესით გამოწვეული აუცილებლობა. ამავე მუხლის თანახმად, უპირატეს საჯარო ინტერესით გამოწვეულ აუცილებლობად განიხილება მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც პროექტი უკავშირდება ადამიანთა ჯანმრთელობასა და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ან ექნება პირდაპირი დადებითი შედეგები გარემოსთვის პირველადი, არსებობს უპირატესი საჯარო ინტერესით გამოწვეული სხვა აუცილებლობა და ეს შეთანხმებულია კომისიასთან.

გზმ ანგარიშზე თანდართული ზოშ არ განიხილავს ამ პროექტს, როგორც უპირატეს საჯარო ინტერესით გამოწვეულ აუცილებლობას; ის არ არის შეთანხმებული ევროკომისიასთან ან ბერნის კონვენციის სამდივნოსთან; წარმოდგენილი დოკუმენტაციით ასევე არ მტკიცდება, რომ პროექტს არ ექნება უარყოფითი ზემოქმედება ზემოსხენებული კონვენციითა და დირექტივით დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე (რაზეც მიუთითებს ის გარემოებაც, რომ სამინისტრო დამატებით ითხოვს შესწავლის ჩატარებას ნებართვის გაცემის შემდგომ პერიოდში).

გადაწყვეტილების მიღებისას, სამინისტრო უგულებელყოფს ჰაბიტატების დირექტივას, რომელიც ითხოვს „სიფრთხილის პრინციპის“ გამოყენებას, რაც გულისხმობს, რომ ბუნდოვანების შემთხვევაში (თუ არ არსებობს ცალსახა პასუხი, რომ საქმიანობას არ ექნება არასახარბიელო შედეგები), გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული ბუნების დაცვის მიზნების სასარგებლოდ. კომისიის თანახმად¹, სიფრთხილის პრინციპი გულისხმობს სიტუაციას, როცა მონაცემების არასაკმარისობის გამო, რისკების სამეცნიერო შეფასება არაა დამაჯერებელი და არაზუსტია, რაც შეუძლებელს ხდის საკმარისი სიზუსტით განისაზღვროს მოცემული რისკი.

¹ 'Communication from the Commission on the precautionary principle' (European Commission, 2000a)

10. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის პირველი, მესამე და მეექვსე მუხლების მოთხოვნა.

კერძოდ: „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას“.

კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება“; ხოლო იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას“.

კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, თითოეული მხარე:

- ა) | დანართში ჩამოთვლილი შემოთავაზებული საქმიანობის ნებართვაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამოიყენებს წინამდებარე მუხლის დებულებებს;
- ბ) საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში აგრეთვე გამოიყენებს წინამდებარე მუხლის დებულებებს იმ შემოთავაზებულ საქმიანობებში, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი | დანართში, თუმცა შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ გარემოზე.

2. ვინაიდან დაგეგმილ საქმიანობას შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე და საქმიანობა შედის კონვენციის | დანართით გათვალისწინებული საქმიანობის ჩამონათვალში დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათა გათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე. მათ შორისაა შემდეგი საკითხები:

- ა) შემოთავაზებული საქმიანობა და განაცხადი, რომელზეც იქნება მიღებული გადაწყვეტილება;
- ბ) შესაძლებელი გადაწყვეტილებების ხასიათი ან გადაწყვეტილების პროექტი;
- გ) ხელისუფლების ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გადაწყვეტილების მიღებაზე;
- დ) გათვალისწინებული პროცედურა იმის ჩათვლით თუ როდის და როგორ იქნება ეს ინფორმაცია მოწოდებული:
 - I) პროცედურის განხორციელების დაწყება;
 - II) საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობანი;
 - III) ნებისმიერი წინასწარ დაგეგმილი სახალხო მოსმენის დრო და ადგილი;

- IV) მითითება ხელისუფლების ორგანოდან, საიდანაც სათანადო ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი და სადაც ეს ინფორმაცია იგზავნება საზოგადოებისათვის განსახილველად;
- V) შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფო უწყების მითითება, რომელსაც შესაძლებელია გაეგზავნოს შენიშვნები, კითხვები და მათი წარდგენის განრიგი;
- VI) მითითება იმის შესახებ თუ შემოთავაზებულ საქმიანობასთან დაკავშირებული რომელი გარემოსდაცვითი ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი;

ე) ფაქტი, რომ საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნულ თუ ტრანსსასაზღვრო პროცედურას.

3. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები სხვადასხვა ფაზებისათვის ითვალისწინებს გონივრულ ვადებს, რითაც ზემოთ, მეორე პუნქტის შესაბამისად იძლევა საკმარის დროს საზოგადოების ინფორმირებისათვის და გარემოს დაცვის საკითხების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტური მომზადებისა და მონაწილეობისათვის.

4. ყოველი მხარე უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას ადრეულ ეტაპზე, როდესაც ვარიანტები ღიაა და საზოგადოებას აქვს მასში ეფექტური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

5. ყოველი მხარე, სადაც ეს შესაძლებელია, ვალდებულია განაცხადის წარდგენამდე წახალისოს პოტენციური მონაწილეები განსაზღვროს დაინტერესებული საზოგადოება, გამართოს მასთან მსჯელობა და განაცხადის წარდგენამდე მიაწოდოს მას ინფორმაცია მათი განაცხადების ამოცანებზე ნებართვის მიღების შესახებ.

6. ყოველი მხარე კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოსაგან მოითხოვს, მოთხოვნის შესაბამისად, თუკი ამას ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა, მისცეს დაინტერესებულ საზოგადოებას საშუალება, როგორც კი ამის შესაძლებლობა გამოჩნდება, უფასოდ და დროულად შეამოწმოს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად იქნება საჭირო, რომელზეც ამ მუხლშია საუბარი და რომელიც საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის მომენტისათვის ხელმისაწვდომი იქნება მხარეების იმ უფლების შელახვის გარეშე, რაც გულისხმობს გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარის თქმას, (მეოთხე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად). ასეთ ინფორმაციაში შევა მინიმუმ მეოთხე მუხლის ინფორმაცია ამ მუხლის პირობების დარღვევის გარეშე;

- a) სავარაუდო საქმიანობის ადგილის და ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლების აღწერილობა მოსალოდნელი ნარჩენებისა და გამონაბოლქვების შეფასების ჩათვლით;
- b) იმ მნიშვნელოვანი გავლენის აღწერა, რომელსაც მოახდენს შემოთავაზებული საქმიანობა გარემოზე;
- c) იმ ღონისძიებების აღწერა, რომელიც გათვალისწინებულია შედეგების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად, გამონაბოლქვების ჩათვლით;
- d) ზემოაღნიშნულის არატექნიკური შეჯამება;
- e) განმცხადებლის მიერ შესწავლილი ძირითადი ალტერნატივის მონახაზი;
- f) ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ის ძირითადი მოხსენებები და ინფორმაცია, რომელსაც გამოსცემს ხელისუფლების ორგანო იმ დროისათვის, როდესაც დაინტერესებულ საზოგადოებას ზემოთ მოცემული მეორე პუნქტის მიხედვით უნდა მიეწოდოს ინფორმაცია.

7. საზოგადოების მონაწილეობისათვის დადგენილი პროცედურა ნებას რთავს საზოგადოებას წარადგინოს საზოგადოების მოსმენაზე ან შეკითხვისას წერილობითი სახით, განმცხადებლის ხელით ნებისმიერი შენიშვნა, ინფორმაცია, ანალიზის შედეგი ან აზრი, რომელსაც იგი შემოთავაზებული საქმიანობისათვის შესატყვისად მიიჩნევს, თუკი ეს ხელსაყრელია.

8. ყოველი მხარე უზრუნველყოფს, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, განცხადება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა 2020 წლის 27 მარტს.

2020 წლის 13 აპრილს სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ახალი განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „მიმდინარე წლის 10 აპრილს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა "აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის" გზშ-ის ანგარიშის პირველ ტომში ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების მიზნით წარმოადგინა გზშ-ის ანგარიშის პირველი ტომის კორექტირებული ვერსია“. განცხადებაზე თანდართული იყო საავტომობილო გზების დეპარტამენტის წერილი და გზშ-ის ანგარიშის ძირითადი ნაწილის (265 გვერდიანი დოკუმენტის) კორექტირებული ვერსია. **არც საავტომობილო გზების დეპარტამენტის წერილში და არც სამინისტროს განცხადებაში არ იყო აღნიშნული კონკრეტულად რა ტიპის ცვლილება შევიდა დოკუმენტში, შესაბამისად, დაინტერესებული საზოგადოება და დოკუმენტის ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის შექმნილი კომისიისაც, 2 კვირიანი განხილვის შემდეგ, იძულებული იყო თავიდან განეხილა დოკუმენტი - ანუ, პროცესი თავიდან დაიწყო.**

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრომ დოკუმენტების განსახილველად ვადა სწორად დაადგინა, როგორც ახლიდან დაწყებული პროცესისათვის, სრულიად არაადექვატურად გამოქვეყნდა განსახილველი დოკუმენტები. კერძოდ, ახალ განცხადებას თან ერთვოდა მხოლოდ განსახილველი დოკუმენტების ნაწილი; დანარჩენი დოკუმენტები დაინტერესებულ პირს თავად უნდა მოეძიებინა ადრე გამოქვეყნებული განცხადების თანდართული ბმულიდან. თუმცა, გამოქვეყნებული განცხადებიდან ამის შესახებ დაინტერესებული საზოგადოება მხოლოდ იმ შემთხვევაში მიხვდებოდა, თუკი ეცოდინებოდა, რომ ანგარიშის სხვა დოკუმენტებიც ერთვის.

საჯარო განხილვისათვის ინფორმაციის ამგვარი გამოქვეყნება ვერ ჩაითვლება საზოგადოების ადეკვატურ, დროულ და ეფექტურ ინფორმირებად ვერც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის და მითუმეტეს, ვერც „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მოთხოვნებისათვის.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ვებ-გვერდზე 2020 წლის 3 აპრილს გამოქვეყნდა განცხადება, რომლის თანახმად: „„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 მარტის №196 დადგენილების თანახმად, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებები (რომელთა მიმდინარეობისას კოდექსით გათვალისწინებული საჯარო განხილვები ვერ ჩატარდა/ჩატარდება ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით) განხორციელდება საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე და ადმინისტრაციულ წარმოებაში საზოგადოების მონაწილეობა და მის მიერ მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა უზრუნველყოფილი იქნება წერილობით (მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6) ან ელექტრონული საშუალებით (ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge). ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ცვლილება არ ეხება საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების ფორმებს და საშუალებებს. შესაბამისად, ყველა დაინტერესებულ პირს, დაინტერესების შემთხვევაში, ამომწურავად მიეწოდება ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ“.

გადაწყვეტილების მიღება საჯარო განხილვის გარეშე მნიშვნელოვნად აზარალებს პროცესს, ვინაიდან დაინტერესებული საზოგადოების უმეტესი ნაწილისათვის პროექტის შესახებ ინფორმაციის მიღების ერთადერთი საშუალება სწორედ საჯარო განხილვაა. აბსოლუტურად არაადექვატური იყო სამინისტროს განცხადება იმის თაობაზე, რომ სამინისტროს ვებ-გვერდის უკიდურესად არახილვად და ძნელად მისაგნებ განყოფილებაში განცხადების გამოქვეყნება, თურმე, დაინტერესებული საზოგადოებისათვის ინფორმაციის ამომწურავად მიწოდებას უზრუნველყოფდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით

დაწესებული შეზღუდვები გაუქმდა 2020 წლის 23 მაისს დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებასთან ერთად; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ამის შემდგომ კიდევ სამი თვე მონაღომა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას (03.09.2020-მდე), თუმცა არ უზრუნველყო საჯარო განხილვის ორგანიზება.

მტკიცებითი შუამდგომლობები

მონწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

დაევალოს მოპასუხეს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების სრულად წარმოდგენა.

სხვა სახის შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

საქმეში მესამე პირად ჩაერთოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

არგუმენტაცია: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალური ერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა ეხება საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელზე გაცემული აქტის ბათილად ცნობას. შესაბამისად, საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ს/კ 404507495, მისამართი: საქართველო 0160, ქ. თბილისი, ალ ყაზბეგის №12 ტელ / ფაქსი : (995 32) 2 37-05-08 ელ-ფოსტა : info@georoad.ge) წარმოადგენს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ მესამე პირს აღნიშნული დავის მიზნებისთვის.

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

დიახ	<input type="checkbox"/>	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	<input checked="" type="checkbox"/>		

სარჩელის ფასი — არაქონებრივი ღარი

სახელმწიფო ბაჟი — 100 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, საზინის ერთიან ანგარიშზე:

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის №: 200122900 (იხ. საზაზინო კოდეზი)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ არა

რომელი ნორმა?

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ არა

რის საფუძველზე??

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოს გარეშე) ხარჯების თაობაზე:

5.

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?

დიახ მტკიცებულება:

არა რადგან გასაჩივრებული აქტის თანახმად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მორიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ მორიგების პირობები:

არა რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ

არა

რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარისათვის.

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან ეს დრო არის საჭირო მხარის პოზიციის დასაბუთებისათვის.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

1 სხდომაში რადგან ერთ სხდომაში დასრულება გონივრულია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ

არა

რადგან

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა

რადგან

თანდართული საბუთების ნუსხა

1. „ადიგენის მუნიციპალიტეტში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 6 მარტის №2-208 ბრძანება
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 15 მაისის განჩინება, საქმე №3/2736-20
3. საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსი 2020 წლის 24 მარტის წერილი დანართებით;
4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია
5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე 2020 წლის 3 აპრილის განცხადება
6. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 13 აპრილის განცხადება
7. აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზმ-ის ანგარიშის პირველი ტომის კორექტირებული ვერსია
8. მწვანე ალტერნატივას კომენტარები და შენიშვნები
9. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 19 ივნისის განცხადება
10. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი N 5494/01, 17/06/2020
11. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი N 5624/01, 19/06/2020
12. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 30 ივნისის განცხადება
13. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი N5888/01, 26/06/2020
14. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 21 ივლისის განცხადება;
15. საგზაო დეპარტამენტის წერილი N 2-12/7538, 20/07/2020

16. საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მომზადებული პასუხი
17. მწვანე ალტერნატივას 2020 წლის 22 ივლისის წერილი №04/10-40;
18. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 29 ივლისის წერილი №7210/01;
19. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 24 ივლისის განცხადება;
20. საავტომობილო გზების დეპარტამენტის წერილი N2-12/7790, 23/07/2020;
21. „ადიგენის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის N 2-785 ბრძანება
22. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2020 წლის 9 ივნისის წერილი №1185
23. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2020 წლის 6 აგვისტოს წერილი №1870
24. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 21 აგვისტოს №22/6365 წერილი
25. სსიპ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს 2020 წლის 8 მაისის №10/1525 წერილი
26. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ქრისტინე კოროშინაძის 2020 წლის 4 ივნისის დასკვნა;
27. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების სამმართველოს უფროსის, ნონა ხელაიას 2020 წლის 3 სექტემბრის დასკვნა;
28. ბიოლოგიის დოქტორის კ. იაშაღაშვილის საექსპერტო 2020 წლის 21 მაისის დასკვნა
29. საექსპერტო დასკვნა აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გეოლოგიურ ნაწილზე
30. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 29 სექტემბრის №9281/01 წერილით
31. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 ფურცელი;
32. რწმუნებულებები - 2 ფურცელი;
33. ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი - 1 ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 2452

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.	მითითებულია დავის საგანი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.	მითითებულია სარჩელის ფასი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.	მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8.	მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9.	სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13.	სარჩელი ხელმოწერილია	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
14.	სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	ხელმოწერა	სახელი და გვარი
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> პუნქტების ჩამონათვალი		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე _ თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე	28 ოქტომბერი, 2020
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი და გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.